ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერთა ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 28 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 22 (1177)

დღიური

— გაიხსნა ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე-ფრთის კონგრესი.

— ბელგიის კომპარტიის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ის ივლის ლენინის გზით.

— რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულებამ დიდი გავლენა მოახდინა ამერიკაზე.

— მოკავშირეები არ სცლიან კელნის ზონას.

— გარდაიცვალა პოლონეთის სეიმის თავმჯდომარის ამხანაგი ხეიდე.

კრედიტის საჭიროება სოფლად

იმ ღონისძიებათა შორის, რომელთაც მიმართავს ხელისუფლება სასოფლო-მეურნეობის აღორძინებლად და ამ გზით მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განსამტკიცებლად,—კრედიტის მიწოდებას გლეხობისათვის, კრედიტის საქმის სათანადოთ მოწესრიგებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ღარიბ და ნაწილობრივ საშუალო გლეხობას არ შეუძლია საკუთარი საშუალებებით აღადგინოს თავისი დაქვეითებული მეურნეობა, ამისათვის მას აუცილებლად ესაჭიროება ფართო სახელმწიფოებრივი დახმარება და საზოგადოებრივი თვითდახმარების ორგანიზაცია.

აქ პირველ რიგში დგას სახელმწიფოებრივ-კოოპერატიულ საფუძველზე მოწყობილი კრედიტი.

მუშურ-გლეხური სახელმწიფოც ამ მხრივ სდგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს, მთელი ქვეყანა ისერება საკრედიტო ორგანიზაციებით. სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეძლებისდაგვარათ სდებს ამისათვის თანხებს, სულ უკანასკნელად, საკრედიტო ორგანიზაციების სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ, კერძოდ საქართველოსათვის გახსნილია დამატებით 1.500.000 მან. კრედიტი, გარდა ამისა სპეციალურად მევენახეობის საჭიროებისათვის—150 ათასი მან.

მაგრამ სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხა, საწევრო და საპაიო გამოსაღებთან ერთად, ძალიან მცირეა. ჩვენ მოგვდის აურებელი ცნობები პროვინციიდან, რომ საკრედიტო ამხანაგობათა განკარგულებაში არსებული საშუალებანი ოდნავადაც ვერ ასდიან გლეხობის მოთხოვნილებას.

ავიღოთ თუ გინდ გუშინ ჩვენს გაზეთში მოთავსებული კორესპონდენცია ახალ-სენაკიდან. როგორც კორესპონდენტი იუწყება, იქაურ საკრედიტო ამხანაგობას მიუღია გრძელვადიანი სესხის სახით 4000 მ. მიღებული თანხიდან, საწევრო-საპაიოს მიმატებით, სულ მოკლე ხანში გაუცია მეურნეებზე 5 340 მან. ამხანაგობის რაიონს შეადგენს შვიდი თემი 5000 მეკვამურით. „ხალხს დიდი იმედი ჰქონდა,—გვწერს კორესპონდენტი,—ისმოდა ყოველგან ხმა—„იმის უკეთესი დახმარება არ შეიძლებაო". მოაწყდა გამგეობას წევრად ჩაწერის მსურველები, წევრთა რიცხვი მოსალოდნელია ავიდეს 3000-მდე. აურება გლეხობა ყოველ დღე უცდის გამგეობას სესხის მოლოდინში და ამბობენ, რომ თუ მინდვრის მუშაობამ მოგვისწრო და მანამდის არ მოვაწყვეთ ჩვენი მეურნეობის საქმე, შემდეგ სესხი რათ გვინდაო. გამგეობის წევრებს გზაში ხვდებიან გლეხები და მოითხოვენ დახმარებას სესხით".

ასეთია მდგომარეობა. და ეს გამონაკლისი შემთხვევა არ გეგონოთ, —ასეთ მოვლენას ვხვდებით სხვაგანაც, თითქმის ყველგან.

გლეხობა ძალზე საჭიროებს კრედიტს წელში გასამართავად, თავისი მეურნეობის გასაუმჯობესებლად, ამისათვის საჭიროა მასალის, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის შესაძენად.

თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ სახელმწიფოებრივი კოოპერატიული გზით ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ღარიბი გლეხი კლანჭებში ჩაუვარდება მევახშეს, კულაკს და მის ეკონომიურ (და არა მარტო ეკონომიურ) მონობაში მოექცევა.

აქედან აუცილებლად უნდა გამოინახოს გამოსავალი. საქმე შეეხება პირველ ყოვლისა საკრედიტო კაპიტალის გადიდებას.

სახელმწიფო ამ მხრივ თავის ფინანსიურ შესაძლებლობათა ფარგლებში იღებს ზომებს. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ახლად იმ 1.650.000 მანეთის გადადება ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კრედიტისათვის, რომელიც ზევით გვქონდა მოხსენებული.

მაგრამ, ცხადია, სახელმწიფოს არ შეუძლია მთელი საჭირო თანხის გაღება. საამისო საშუალება მას არ გააჩნია გარდა ამისა, ჩვენი საკრედიტო პოლიტიკა ემყარება კოოპერატიულ პრინციპს ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით მოსახლეობამ უნდა აამზრდოოს ეს საქმე, თვითონ უნდა გამონახოს ამისათვის საშუალებანი.

მშრომელი გლეხობა უნდა დაირაზმოს საკრედიტო ამხანაგობებში და თავის დროზე შეიტანოს საწევრო-საპაიო გამოსაღები.

ამასთან ყოველმა გლეხმა, რომელსაც გააჩნია თავისუფალი თანხა, ანაბარის სახით უნდა შეიტანოს იგი საკრედიტო ამხანაგობაში. გარდა იმისა, რომ თავის ფულში ის კუთვნილ პროცენტებს მიიღებს, ამით იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივ საქმის წარმატებას, გლეხური ორგანიზაციის მოღონიერებას.

თავის თავად ცხადია, რომ როგორც პროცენტების დანიშნულ ვადაზე მიღება, ისე მიბარებული ფულის უკან დაბრუნება აბსოლუტურად, სავსებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ამ მხრივ ფულის შემტან გლეხს არავითარი ეჭვი და უნდობლობა არ უნდა დაურჩეს.

დღემდე კი ადგილობრივ მოსახლეობის მონაწილეობა თავისი საშუალებებით საკრედიტო ამხანაგობებში მეტად უმნიშვნელოა, რაც მეტად არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

შემდეგ: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, თუ ვის უნდა აღმოეჩინოს კრედიტით დახმარება.

კრედიტის ცნება გულისხმობს, რომ იგი მიეცემა იმას, ვისაც აქვს ან ექნება უნარი მისი გადახდის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გაცემული კრედიტის დაბრუნების იმედი არ არის და თუ იგი არ იქნება გადახდილი, დაინგრევა მთელი საკრედიტო სისტემა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ კრედიტი პირველ ყოვლისა უნდა მიეცეს ღარიბ გლეხს, რომელსაც მეტად უჭირს მისი გასტუმრება.

და აქ შეიძლება წარმოიშვას ისეთი მიდრეკილება საკრედიტო ამხანაგობათა ხელმძღვანელებში, რომ ღარიბ გლეხს, რომლის გადახდის უნარიანობა საეჭვოდაა მიჩნეული, არ აღმოუჩინოს სესხით დახმარება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხომ ჩვენი საკრედიტო პოლიტიკის მიზანი—ღარიბი გლეხის ფეხზე წამოყენება—არ იქნებოდა განხორციელებული.

ამ საკითხს ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ მივუდგებით კერძო საკრედიტო ოპერაციის თვალსაზრისით.

აქ საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების საკრედიტო პოლიტიკის სწორად შეგნება. კრედიტი უნდა მიეცეს პირველ რიგში უეჭველად ღარიბ მეურნეს. მაგრამ ღარიბი გლეხი არის და ღარიბიც. კრედიტი უნდა მიეცეს გამრჯელ, შრომის მოყვარე გლეხს, რომელიც მას გამოიყენებს მხოლოდ და მხოლოდ მეურნეობის აღორძინებისათვის.

სოფლად კი ბლომად მოიძებნებიან ისეთი გლეხებიც, რომელნიც უსაქმურობას, სიზანტეს არიან ჩვეულნი. თუ ისინი მიიღებენ სესხს, ადვილად შესაძლებელია, დახარჯავენ მას ტყვილ-უბრალოდ, და ვერც სესხს დააბრუნებენ.

ამიტომ აქ საჭიროა შერჩევა. უმთავრესი კია ფხიზელი კონტროლის დაწესება, რომ გლეხმა მიღებული კრედიტი მოახმაროს მის პირდაპირ დანიშნულებას, ე. ი. თავის მეურნეობის გაუმჯობესებას. მაშინ მას უეჭველად საშუალება მიეცემა პირნათლად მოიხადოს თავისი საკრედიტო მოვალეობა.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ კერძოდ გლეხკომებს, რომლებიც უნდა დაეხმარონ სესხის მიმღებ გლეხს, რომ იგი მან ნაყოფიერად გამოიყენოს.

შესაძლებელია კრედიტი მიეცეს ღარიბ გლეხს გლეხკომის პასუხისმგებლობით. ამით გლეხკომი დაუახლოვდება საკრედიტო ამხანაგობას, უფრო სწორად განაწილდება სესხი, ე. ი. მიეცემა სწორედ იმას, ვისაც იგი უნდა მიეცეს, თვით სესხის დაბრუნება უზრუნველყოფილი იქნება და აგრეთვე მისი მიზანშეწონილი მოხმარებაც.

შრომის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების საკითხის გარშემო

პირველ შეხედვით, მეტად გაუგებარია ის გარემოება, რომ დასავლეთ ევროპის და ამერიკის მუშები მეტად მტრულად ხვდებოდენ და დღესაც დიდ წინააღმდეგობას უწევენ წარმოებებში შრომის მეცნიერულ საფუძველზედ დაყენებას მაშინ, როდესაც როგორც საბჭოთა რუსეთში, ისე მთელს ფედერაციაში, მუშათა პროფესიონალური კავშირები შეიქნენ შრომის მოწესრიგების, მის მეცნიერულ ნიადაგზედ დაყენების ინიციატორად.

ეს გაუგებრობა ადვილად აიხსნება, თუ ჩვენ გაუწევთ ანგარიშს იმ პირობებს, რომელშიაც უხდებათ მუშაობა დასავლეთ ევროპის და ამერიკის მუშებს ერთის მხრით და ჩვენს მუშებს მეორე მხრით.

რა მოაქვს დასავლეთ ევროპის და ამერიკის მუშებისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდებას?

პირველ ყოვლისა მათი ექსპლოატაციის გადიდება.

რაც უნდა არ გადიდდეს მათი შრომის ხელფასი, ის წარმოადგენს ნაწილს მისი შრომის ღირებულებისას და ხშირად უმცირეს ნაწილს. მის მიერ შექმნილი მეტი ღირებულება მიდის წარმოების პატრონის სიმდიდრის გასადიდებლად.

დასავლეთ ევროპაში მეცნიერულად შრომის დაყენებამ არა თუ სარგებლობა არ მოუტანა მუშებს, არამედ შექმნა ისეთი პირობები, რომლებმაც უფრო გააუარესა მათი მდგომარეობა.

აი აქ ხაზი უნდა გაესვას ორ ღირსშესანიშნავ ფაქტს.

პირველი მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთ ევროპის და ამერიკის მუშებმა გაიცნეს შრომის მეცნიერულად დაყენება, როგორც სისტემა, რომლის დროსაც მათ მეტის-მეტად უნდა ეჩქარნათ მუშაობაში და რასაკვირველია, იმის გრძნობა, რომ მათ განუწყვეტლივ აჩქარებენ, განუწყვეტლივ ხელში უმზერენ მაშინ, როდესაც ის დარწმუნებულია, რომ მას ამ ილაჯის გაწყვეტით არაფერი ემატება,—ჰქმნის მასში პროტესტს სისტემის წინააღმდეგ.

მეორე, და უფრო დიდი ფაქტი, მდგომარეობს იმაში, რომ მუშამ იგრძნო თავისი ძალის—სოლიდარობის—დაკარგვა.

ეს ძალის დაკარგვა მდგომარეობს იმაში, რომ ახალ სისტემაში მუშას უხდება მეპატრონესთან როგორც ერთეულს საქმის დაჭერა.

ამ სისტემის დროს მუშათა სოლიდარობის წინააღმდეგ მუშაობს სხვადასხვა პრემიები, რომელიც ბევრს ულიძებს სურვილს დასთანხმდეს ქარხნის მეპატრონის პირობებს, რადგან კერძო შემთხვევებში მას გაცილებით უკეთეს პირობებს უქადიან.

ეს უკეთესი პირობები რჩება მისთვის, რასაკვირველია, მანამდის, სანამ მეპატრონესათვის ის აუცილებლივ საჭიროა, სანამ მას არ უნახავს სხვა პირი ან პირები, რომლებიც მის მეტოქეებათ გამოდგებიან და როცა ასეთი პირი ნაპოვნია, მაშინ იწყება მისი განსაკუთრებულ პირობების შეცვლა.

სასაკვირველია მაშინ მუშა ხედება თავის შეცდომას. მაგრამ გვიანღაა.

სულ სხვა სურათს აქვს ადგილი საბჭოთა რესპუბლიკებში.

აქ მთელი წარმოებები საბჭოთა მთავრობის განკარგულებაშია. მუშა სრულიად ნათლად ხედავს, რომ მის მიერ შექმნილი ღირებულება ხალხის სიმდიდრეა და დაუყოვნებლივ იწვევს მისი, მუშის, ხელფასის რეალურ გადიდებას, სკოლების და საექიმო სასანიტარო საქმეების გაუმჯობესება ერთი სიტყვით მისი ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, საბჭოთა ქარხანაში მომუშავე მუშა გრძნობს, რომ ის არის ერთი წევრთაგანი დიდი და მთელი წარმოებისა, სახელმწიფოებრივ წარმოებისა, რომელიც ასრულებს დიდ სოციალურ საქმეს.

ამით სრულიად ნათლად აიხსნება ის გარემოება. რომელმაც გამოიწვია პროფესიონალურ კავშირების პირველობა შრომის რაციონალიზაციის საკითხში, შრომის მეცნიერულად დაყენების ცხოვრებაში გატარებაში.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი ლენინგრადის საგუბპროფკავშირმა გადადგა.

შრომის ნაყოფიერების გაზრდა შეიქნა მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ლოზუნგათ და მთელი ეკონომიურ პოლიტიკის მამოძრავებელ ძალათ.

„ჩვენი სრული გამარჯვება კაპიტალიზმზედ მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენ შევძლებთ მეტ შრომის ნაყოფიერების შექმნას, ვიდრე ქმნის კაპიტალისტური ფორმა" ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი და აი უკვე მთელი საბჭოთა რესპუბლიკების მამოძრავებელ ძალებმა შეითვისეს ეს იდეა და უკვე ნაწილობრივ შეუდგენ მისი ცხოვრებაში გატარებას.

რა მომენტს გულისხმობს მეცნიერულად შრომის დაყენება, შრომის ნაყოფიერების გაზრდაში?

ბრძოლის ერთ დიდ ხაზათ უნდა ჩაითვალოს წარმოებების მექანიკური მხარე.

ამას ეკუთვნის, ქარხნების მოწყობილების განახლება, გაუმჯობესებულ მანქანების შეძენა და მოწყობა, მთელი წარმოების მექანიზაცია, ელექტრონულ ძალაზე გადასვლა, წყლის ძალის გამოყენება და სხვა.

რასაკვირველია ჩამოთვლილ პირობებს მეტის-მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში, მით უმეტეს ჩვენში, სადაც მანქანები 1914 წლიდან საკმაოდ არ განახლებულა, მაგრამ ყველა ეს მოითხოვს დიდ თანხას და მასთან მხოლოდ ჩამოთვლილი პირობები თავის თავად არ იწვევენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს არსებულ მოწყობილობის საუკეთესო გამოყენებას.

საბჭოთა რესპუბლიკებში და კერძოთ საქართველოში ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული და უპირველესი ყურადღება:

ამ გვარად უნდა გარკვეულად დაისვას კითხვა, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ არსებული მოწყობილობა იძლეოდეს ნაყოფიერების მაქსიმუმს.

საერთაშორისო „შმო"-ის სხდომაზედ პრაღაში, ამერიკელ დელეგაციის წარმომადგენელმა ბიბკოკმა შემდეგი დებულებები წამოაყენა.

არსებულ მოწყობილობის საშუალებით ნაყოფიერების გადიდება დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

1) წარმოების მოწყობილობა უნდა იქნეს თავის დროზედ შეკეთებული, რომ მუშაობის დროს არას შემთხვევაში არ ითხოვდეს შეკეთებას და ამით არ აცდენდეს მუშას;

2) მანქანები უნდა იყვნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლო იყოს მათგან მაქსიმუმი ნაყოფიერების მიღების, რასაკვირველია მათი კონსტრუქციის მიხედვით;

3) უნდა იქნეს გამომუშავებული საუკეთესო მეთოდები მოწყობილობების გამოყენების, უნდა იქნენ ხელსაყრელად განწესრიგებული და მასთან ერთხელ გამომუშავებული წესი, მისი საერთოდ შეკვლამდი, შეუწყვეტლად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში;

4) მასალა თავის დროზედ უნდა მოდიოდეს მანქანებზე, რომ მუშებს არ უხდებოდეს მასალისათვის რბენა და მისი ცდა და

5) ნედლი მასალა უნდა იქნეს ერთგვარი ხარისხის.

მასალის ხარისხოვნობის ერთგვარობა შესაძლოს ყოფს საქონლის ერთგვარი და ერთდროულ ოპერაციების საშუალებით დამუშავების.

ამას შესაძლოა დაემატოს კიდევ ის, რომ მამოძრავებელ ძალას წარმოება საჭირო რაოდენობით და დაუბრკოლებლივ უნდა ღებულობდეს და შემთხვევითი გარემოებებიდან არ უნდა იყოს დამოკიდებული მისი განუწყვეტლივ მუშაობა.

შრომის ნაყოფიერების გადიდებაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მუშაობის წინ და წინ განწესრიგებას და კონტროლს.

ამისთვის თავის დროზედ უნდა იქნეს გამომუშავებული „წარმოების წესი, მისი პროდუქციის რაოდენობა და სხვადასხვაობა.

გამომუშავებულ უნდა იყოს მეთოდები, რომლის საშუალებით შესაძლო იქნება განწესრიგებულ რაოდენობის პროდუქციის მიღება.

აგრეთვე წინდაწინვე გამოანგარიშებული უნდა იქნეს ყოველ პროდუქციის გამოსამუშავებლათ საჭირო დრო და მეტიც, ყოველ ცალკე ოპერაციაზედ საჭირო დრო და თანახმად ამგვარად გამომუშავებულ სქემისა ხდებოდეს სამუშაოს დანაწილება

შემდეგი, მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი არის მუშის შრომის ინტენსივობა, მისი წარჩინების გამოყენება და მთელი სამუშაო დროის რაციონალურად მოხმარება.

ამ მხარეს ეკუთვნის: 1) მუშის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

2) გაღვიძება ყოველ ერთეულ მუშაში ინიციატივის, შემოქმედებითი მოღვაწეობის.

3) შეუცდომელი კვალიფიკაცია მუშა ხელის და მისი მატერიალურად დაინტერესება (განუსაზღვრელი პროც. ზედ. ნამუშავრის მიღება მარდ მუშაობის დროს, პრემიები და სხვა—რასაკვირველია დაწესებულ დროზედ მეტ მუშაობას არ უნდა ექნეს ადგილი).

4) კონტროლი როგორც მთელი სამუშაოს დროის ნაყოფიერად გამოყენებისა, აგრეთვე გამომუშავებულ საგანის სრული ვარგებულობისა.

გარდა ამისა ერთ და იმავე ინტენსიურ მუშაობის დროს დიდათ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მუშაობის გარეგან პირობებს, აგრეთვე მუშაობის მეთოდს—წესს.

ამ მხრივ შესამჩნევად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშის დასვენების დროს, სამუშაო იარაღებისათვის ერთ და იმავე ადგილის მიჩენას, ნორმალურ სინათლეს და, რამდენადაც შესაძლოა, წარმოებაში ხმაურობის მოსპობას და უსაქმო პირთა სიარულის აკრძალვას.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშის პერიოდულ, თავის დროზე დასვენებას, ამ წერილში არ შევეხები, მხოლოდ აქ კი ვიტყვი, რომ ფ. კუტეიშიკის მოწმობით სწორ ნიადაგზედ ამ კითხვის დაყენებამ, მუშის თავის დროზედ დასვენებამ მუშის შრომის ნაყოფიერება 20 პროცენტამდის და კერძო შემთხვევებში 50 პროცენტამდის ასწია. მისივე მოწმობით საგანგებო გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მუშა (როცა იარაღი არ ჰქონდა მომარაგებული, წინდაწინ გაწესრიგებულ ადგილას დაწყობილი) ყოველ სამუშაო იარაღის გამოკვლის დროს, იარაღის ძებნაში და რჩევაში კარგავდა სრულიად უნაყოფიეროდ 2—3 წუთს. ამ დროს ხშირად მუშას სხვა ფიქრები უვლიდა თავში, სხვა რამე დააინტერესებდა და მუშაობის ტემპის სიცხოველე ეკარგებოდა და კიდევ რამოდენიმე წუთი გადიოდა, სანამ ნორმალურ მუშაობას განაგრძობდა.

ინჟ. ა. გ. კაშელაკი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს) ცნობები

დე-მონზის სიტყვის გამოძახილი

პარიზი 26 იანვარი. ეხება რა დე-მონზის ბერლინში წარმოთქმულ სიტყვას საფრანგეთ საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ, საფრანგეთის რეაქციონურ პრესის ნაწილი აცხადებს, რომ ეს სიტყვა ამტკიცებს დე-მონზის პესიმისტურ განწყობილებას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიურ ურთიერთობის პერსპექტივებისადმი.

„ესტ-ეროპეინ" სააგენტო ეთანხმება სიტყვის საერთო კილოს და აკრიტიკებს დე-მონზის განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეების ინტერესები მოითხოვს, საქმე მიენდოს „კერძო ქონებათა ბიუროს", რომელიც იცავდა საფრანგეთის მოქალაქეთა ინტერესებს გერმანიაში და ფიქრობს, რომ პატარ-პატარა ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა ჯგუფმა უნდა დაიცვას თავისი ინტერესები.

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე" აღნიშნავს, რომ რუსეთის სესხის გავრცელება, რომლისთვისაც ბანკებმა მიიღეს საკომისიო ჯილდო 19 პროცენტამდე, იყო აშკარა შარლატანობა. გაზეთი ხაზს უსვამს პრესის გამყიდველობას, რამაც ხელი შეუწყო სესხის გავრცელებას, შემდეგ გაზეთი მოაგონებს, რომ გუდი, ფურსტ, ფრანსუ და კაპლე ე. ხაზს უსვამდენ იმ ხეხების ბიძურ მხარეს, რომელიც თვით რუსეთის კადეტებმაც არაფრად არ ჩააგდეს. „თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას მთავრობა აძლევდა სუბსიდიებს, აღმოჩნდება, რომ საფრანგეთის მთავრობა წარმოადგენს არა კრედიტორს, არამედ საბჭოთა კავშირის მოვალეს.

ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე ფრთის კონფერენცია

ლონდონი. 26 იანვარი. კვირას შესდგა ინგლისის პროფკავშირების მემარცხენე უმცირესობის კონფერენცია, რომელიც დიდის აღტკინებით ჩატარდა. კონფერენციას დაესწრო [illegible] დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდენ 600.000 მუშას.

კონფერენციაზე კუკის დაუსწრებლობის გამო, თავმჯდომარეობდა ტომ მანნი. წაკითხული იქნა კუკის სიტყვა, რომელშიაც ის, სხვათა შორის, ამბობს: „კაპიტალისტების შეტევამ შრომის ხელფასზე და სამუშაო დღის ხანგრძლივობაზე აიძულეს მუშები ყურადღებით გადაეხედათ პროფკავშირების სტრუქტურა".

შემდეგ კუკი აღნიშნავს, რომ მემარცხენე უმცირესობის ორგანიზაციამ პროფკავშირებში უნდა ითამაშოს განმახორციელებელი და პროპაგანდისტული როლი და ის უნდა მეცადოს, რომ თავის რიგებში ჩააბას პროფკავშირების წევრთა ყველა 100 პროცენტი.

პოლიტმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა პროფკავშირების მეექვსე ყრილობისა და საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის მოღვაწეობის შესახებ.

წაკითხული იქნა ინგლისის პროფკავშირების გენერალური საბჭოს წევრის და ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმში ინგლისის დელეგატის ხიქსის, ჰამბურგის მეზღვაურთა კავშირის, საფრანგეთის სამთო-მადნო მუშების ფედერაციის და მუშათა მრავალ სხვა ორგანიზაციების მისასალმებელი დეპეშები.

რეზოლუცია პროფმოძრაობის მთლიანობის აუცილებლობის შესახებ, რომელიც წამოაყენეს სამხრეთ-უელსის სამთო-მადნო მუშების კავშირის წარმომადგენელმა ხორნერმა და ავეჯეულების დამამზადებელთა კავშირის წარმომადგენელმა გოსიპმა, მიღებული იქნა ერთხმათ.

უცხოეთის ორგანიზაციების წარმომადგენელთა სახით გამოვიდნენ: ჩეხო-სლოვაკიის სახელით—გაისი, საფრანგეთის სახელით—შრომის უნიტარული კონფედერაციის მდივანი დიუდილიე, გერმანიის სახელით—სიულერი, ირლანდიის—ლარკინი და ინდოეთის—უპადხიაია.

მიღებული იქნა რეზოლუცია იმის შესახებ, რომ მთელი ბრიტანეთის იმპერიის პროფკავშირები უერთდებიან იმ მოწოდებას, რომელიც მოითხოვს წინააღმდეგობის გაწევას იმპერიალიზმისათვის; ეს რეზოლუცია წამოაყენა უმუშევრების ბელადმა ხანნინგტონმა. ერთხმათ მიღებული იქნა აგრეთვე რეზოლუცია იმ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს რკინისგზელთა განსაკუთრებულ განყოფილების დაარსებას სათადარიგო არმიაში.

ტრიბუნის წინ აღმართული იყო ლენინის დიდი პორტრეტი. კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლენინის ხსოვნას.

მოკავშირეები და გერმანია

მოკავშირეების პასუხი გერმანიის ნოტაზე კელნის საკითხის შესახებ

ლონდონი. 26 იანვარი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, მოკავშირეების პასუხი გერმანიის ნოტაზე კელნის ზონის ევაკუაციის შესახებ ამბობს, რომ მოკავშირეებს განზრახვა არა აქვთ განიხილონ ეს საკითხი და რამე წინადადებები მიიღონ ამის შესახებ.

შემდეგ ნოტაში აღნიშნულია, რომ მოკავშირეები ახლო მომავალში აცნობებენ გერმანიას, თუ რა უნდა შეასრულოს მან კიდევ ვერსალის ხელშეკრულების თანახმათ.

კიდევ ერთი „დარღვევა"

ლონდონი. 26 იანვარი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ელჩთა კონფერენცია გერმანიის მთავრობისაგან მოითხოვს, რომ კრუპპის ფირმამ შესწყვიტოს ტენდერების და ქვაბების მიწოდება არგენტინისათვის: კონფერენცია თავის მოთხოვნილებას ასურათებს იმით, თითქოს ასეთი მასალების მიწოდება არღვევს ვერსალის ხელშეკრულებას.

ამერიკამ პოლიტიკა უნდა შესცვალოს

ამერიკის საქმიანი წრეები საბჭოთა კავშირისას და იაპონიის ხელშეკრულების შესახებ

ნიუ-იორკი. 25 იანვ. „ჟორნალ ოფ კომმერს" ეხება იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას და სწერს: „უაზრობა იქნება, თუ იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას შევხვდებით მხრების აწევით, ან ვიქადაგებთ რუსეთის ექსტრემისტების პოლიტიკურ დოქტრინების შესახებ. ასეთი პოზიცია განსაკუთრებით უაზროა ამერიკის მხრივ.

სახელმწიფო დეპარტამენტი სრულიად უმიზნოთ აყენებდა შეურაცხყოფს რუსეთის ხალხს და მთავრობას. ჩვენი ტენდენცია—მოგვეთხოვა რუსეთისაგან ახალი ცა და დედამიწა, მასთან დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების აუცილებელ პირობათ, რუსეთის შინაურ საქმეებში ჩვენი ჩარევა—ეჭვს გარეშეა გამოიწვევდა ჩვენდამი მტრულ განწყობილებას.

რუსეთ-იაპონიის კავშირი, ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ეხება ამერიკის ინტერესებს აღმოსავლეთში და აგრეთვე ამერიკის შესაძლებელ მონაწილეობას ჩინეთის და რუსეთის სამრეწველო განვითარების საქმეში. მიუხედავად ამისა, ვაშინგტონის ოფიციალური წრეები. როგორც სჩანს ანგარიშს არ უწევენ ამგვარ შესაძლებლობას".

ვრანგელის მიერ გატაცებული ფლოტის დაბრუნების გარშემო

რუმინეთის დაუსაბუთებელი იმედები.

ანგორა. 26 იანვარი. რუმინეთი შეეცადა ხელი შეეშალა ვრანგელის მიერ გატაცებულ და ახლა საბჭოთა კავშირისათვის დაბრუნებულ ფლოტის გატარებისათვის სრუტეებში, ამის გამო გაზეთი „ლა გაზეტა" სწერს: „რუმინეთის სიფრთხილე სავსებით გასაგებია. მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება სრუტეებში ვრანგელის ფლოტის გატარების აკრძალვა. ლოზანის კონვენციის ტექსტი დარდანელსა და ბოსფორში ნაოსნობის შესახებ, ნებას არ გვაძლევს განვმარტოთ რომელიმე მუხლი ისე, როგორც ეს რუმინეთს სურს".

ვრანგელის ფლოტის შესახებ.

პარიზი. 26 იანვარი. პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიის წევრმა დანიელმა დამატება შეიტანა იმ პროექტში, რომელიც ეხება საფრანგეთის საელჩოს დაარსებას მოსკოვში; ეს დამატება მთლიანათ შეეხება საკითხს ვრანგელის ფლოტის შესახებ. დანიელის სიტყვით პარლამენტის კომისიას არ შეუძლია გარკვეული აზრი გამოსთქვას ვრანგელის ფლოტის საკითხების შესახებ, რადგან ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს მთავრობამ რომელმაც მხედველობაში უნდა მიიღოს ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა ინტერესები.

ეგვიპტე და ინგლისი

ლონდონი, 26 იანვარი. ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა ეგვიპტეში გენერალმა ალენბიმ ეგვიპტის პრემიერს ზივარ-ფაშას გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ის აცნობებს ეგვიპტის მთავრობას, რომ გადაწყვეტილია სუდანის არმიის შექმნა; ამ ნოტის საპასუხოთ ზივარ-ფაშამ განაცხადა, რომ ეგვიპტის მთავრობა ეგვიპტის და სუდანის შემაერთებელ ძაფებს გაწყვეტილათ სთვლის და ვერავითარი ამბები, რომლებიც აიძულებს ეგვიპტის ჯარების გაყვანას სუდანიდან და სუდანის დამოუკიდებელი არმიის შექმნას, გავლენას ვერ მოახდენენ სუდანის პოლიტიკური მდგომარეობის საკითხის გადაწყვეტაზე, რადგან ეს საკითხი უნდა გადაწყდეს მომავალი მოლაპარაკების დროს.

ეგვიპტის პრემიერის თხოვნის გამო.

ლონდონი, 26 იანვარი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ინგლისის მთავრობა ეგვიპტის პრემიერის თხოვნის გამო დათანხმდა გააუქმოს სუდანის მთავრობისათვის მიცემული ინსტრუქციები სუდანის ტერიტორიის განუსაზღვრელი სივრცის თავისუფლათ მორწყვის შესახებ. ეს ინსტრუქციები სუდანის მთავრობას მიეცა ლი-სტეკის მოკვლის შემდეგ. ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება შეფარდებულია ექსპერტთა სპეციალური კომისიის აზრთან; ეს კომისია სხვა მხრივ გადაწყვეტს მორწყვის საკითხს. ამ საკითხის მოგვარების დროს მხედველობაში მიღებული იქნება ეგვიპტის ინტერესები.

თეთრი ტერორის წინააღმდეგ

სამხრეთ-სლავიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ვენა, 26 იანვარი. სამხრეთ-სლავიის კომპარტიის ცეკამ, სამხრეთ-სლავიის მთავრობის მიერ მუშათა და გლეხთა მოძრაობის დევნის გამო, გამოუშვა მოწოდება მუშებისა და გლეხების მიმართ, რომელშიაც აღნიშნავს, რომ სერბიის სამხედრო უწყებამ და ბურჟუაზიამ, სოციალ-დემოკრატიული ლაქიების დახმარებით, აშკარა ომი გამოუცხადა ხორვატიის ხალხს და სამხრეთ-სლავიის მუშებს და გლეხებს. აღნიშნავს რა სამხრეთ-სლავიაში გამეფებულ თეთრ ტერორს, მოწოდება ხაზს უსვამს იმას, რომ ხმების მიცემით საპარლამენტო არჩევნების დროს მშრომელთა მასები ვერ მიაღწევენ მონარქიის და კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებას; ერთად ერთი გზა განთავისუფლებისათვის არის კავშირი მუშებთან, კომპარტიასთან და დაჩაგრულ ერებთან და შეიარაღებული ბრძოლა თეთრი ტერორის რეჟიმის წინააღმდეგ.

წერილი ინგლისიდან

მნიშვნელოვანი ნაბიჯი პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებისაკენ

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 15 იანვარი. ინგლისის პროფკავშირების ოპოზიციონურმა უმცირესობამ, რომელიც დაუღალავათ იბრძვის ერთიანი ფრონტის შესაქმნელად ნაციონალურ და ინტერნაციონალურ ფარგლებში, გადასწყვიტა მოიწვიოს ამ თვის 25-სთვის ლონდონში გამაერთიანებელი კონფერენცია მემაღაროეთა პროფკავშირის მდივნის თავმჯდომარეობით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კონფერენციის წინააღმდეგ ამხედრებული არიან ტრედ-იუნიონების (პროფკავშირების) ოფიციალური წრეები და ცილისწამებით სავსე კამპანიას აწარმოებენ მის წინააღმდეგ—ეს კონფერენცია, რომლის მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია, მაინც წარმატებით იმუშავებს და მას ექნება დადებითი შედეგები. კონფერენციის ორგანიზატორებს უკვე [illegible] აქვთ ცნობა, რომ მას დაესწრება 300-მდე დელეგატი, განსაკუთრებით მემაღაროების, მელითონეებისა და ტრანსპორტის მუშათა წარმომადგენელნი.

უკვე მარტო ის ფაქტი, რომ დელეგატები მოიშურებიან ინგლისის ყველა კუთხეებიდან—დამამტკიცებელია იმისი, რომ მემარცხენენი ეწევიან ენერგიულ მუშაობას დიდი ბრიტანეთის პროფკავშირებში, [illegible]შაობას, რომლის ეფექტი აშკარა შეიქნა ამსტერდამის ინტერნაციონალის კონფერენციაზე წარსული წლის ივლისში და ტრედ-იუნიონების კონგრესზე ჰულლში.

სულ უკანასკნელ ხანებში ჩვენ შემთხვევა მოგვეცა დავრწმუნებულიყავით ამ უმცირესობის ენერგიულ მუშაობაში ტრედ-იუნიონების დელეგაციის მოგზაურობის მაგალითზე საბჭოთა კავშირში. ამის მაჩვენებელი იყო ინგლის-რუსეთის (მუშათა გამაერთიანებელი) კომიტეტის შექმნაც. მომავალი კონფერენცია (25 იანვარს) არის კიდევ ერთი ნაბიჯი წინ, და ნაბიჯი ფრიად მნიშვნელოვანი, საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისაკენ.

ყოველი შეგნებული მუშისათვის ცხადია დიადი მნიშვნელობა პროლეტარული ბრძოლის გაერთიანებისა. უფრო მძიმე, ვინემ წინეთ, შეიქნა პროლეტარიატისათვის კაპიტალის უღელი: სამუშაო ხელფასი მცირეა, ცხოვრება ძვირი, უმუშევრობა მძვინვარებს. მთელ ცენტრალურ ევროპაში პროლეტარიატი იძულებული შეიქნა გაფიცვებით მოიგეროს თავდასხმა ხელფასზე და რვა საათის სამუშაო დღეზე. დოუსის გეგმის გავლენა მკვეთრ საგრძნობი ხდება და რვა საათის სამუშაო დღე უკვე ისპობა ევროპის ბევრ ქვეყნებში. განსაკუთრებით შესამჩნევია ის, რომ იმპერიალისტებმა ყველგან თავი წამოყეს: ჩინეთისა და ეგვიპტეს ამბები მაჩვენებელია კიდევ უფრო დიდი კონფლიქტების შესაძლებლობისა. მსოფლიოს ყველა კუთხეში ისახება ახალი ომის საფრთხე.

კერძოთ ინგლისში, კონსერვატიული მთავრობის შედგენის შემდეგ (მისი დიდი უმრავლესობით პარლამენტში) ჩვენ ვხედავთ, რომ იწყება ფართო შეტევა ეკონომიურ ნიადაგზე მუშებისა და მათი ორგანიზაციის, ტრედ-იუნიონების წინააღმდეგ. ხდება, გარდა ამისა, ფაშისტების შეკავშირება, ერთი სიტყვით ყველა რეაქციონური ძალების გაძლიერება. და სწორეთ ამ სერიოზულ მომენტში ვხედავთ ჩვენ, რომ იფურჩქება ტრედ-იუნიონების ბელადთა მოღალატური რეფორმიზმი, რომელიც გამოდის მუშათა კლასიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

რეაქციონერები დროს არ ჰკარგავენ. ისინი გაფაციცებით ემზადებიან, კავშირდებიან. საჭიროა ამიტომ მუშათა შეკავშირებაც არა მარტო ნაციონალურ, არამედ ინტერნაციონალურ ფარგლებშიც, თუ მათ არ უნდათ დამარცხდნენ მტრების პირველ შემოტევისთანავე. წინააღმდეგობის გაწევა უნდა იყოს საყოველთაო, როგორც საყოველთაოა თვით შემოტევაც. დაჩიჩილაკებული გამოსვლა—ეს შეცდომა იქნებოდა და ყოველი წინააღმდეგობის გაწევაც პროფკავშირთა ინტერნაციონალურ გაერთიანებისათვის—დიდი დანაშაულება.

არ შეიძლება თქმა იმისი, რომ ინგლისის ტრედ-იუნიონებში შეკავშირებული ექვსი მილიონი მუშა მზათ იყოს. ეს კავშირები დაყოფილი არიან ხშირათ ურთიერთშორის მტრობით. გარდა ამისა მათ არ აქვთ გარკვეული სახელმძღვანელო საერთო პოლიტიკა. ყოველი კავშირი იცავს თავის საკუთარ ინტერესებს. საერთაშორისო პროფმოძრაობაც გაყოფილია ორათ: ამსტერდამი და მოსკოვი, მიუხედავათ ამ უკანასკნელის ცდისა მთლიანობის შესაქმნელათ.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა დიდხანს აღარ შეიძლება. ოპოზიციონურ უმცირესობათა გავლენის ქვეშ, ინგლისის მუშები რწმუნდებიან, რომ მოვიდა დრო, რათა ყველა მუშებმა შეაკავშირონ თავიანთი ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ შეგნებიდან წარმოსდგა იდეა 25 იანვრის კონფერენციისა, რომლის ლოზუნგია: „ბრძოლა საერთაშორისო პროფკავშირთა გაერთიანებისათვის" და „პროფკავშირების, მსოფლიო კონგრესის მოწვევა ბრძოლის საერთო ხელმძღვანელი ორგანოს შესაქმნელათ".

შემდეგ წერილში ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს ინგლისის პროფმოძრაობის უმცირესობათა შესახებ.

კამილ დავიდ.

უკანასკნელი ცნობები

ჩიჩერინის და გოტოს ურთიერთი მისალმება

მოსკოვი, 27 იანვარი. იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების გამო ვიკონტ გოტომ გამოუგზავნა ჩიჩერინს დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს იმედს, რომ ამ ორ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობა განვითარდება და მადლობას უცხადებს ჩიჩერინს იმ ენერგიისთვის და განუწყვეტელი შრომისთვის, რომელიც მან გამოიჩინა მოლაპარაკების მსვლელობაში.

ჩიჩერინმა უპასუხა ვიკონტ გოტოს სამადლობო დეპეშით, რომელშიაც გამოსთქვამს იმედს, რომ ხელშეკრულება ორივე ხალხს მოუტანს სარგებლობას და აღნიშნავს ვიკონტ გოტოს მნიშვნელოვან როლს იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების სასურველად დამთავრების საქმეში.

საფრანგეთის სპეციალისტები მოსკოვში

მოსკოვი, 27 იანვ. მოსკოვში ჩამოვიდა ჟიულდე კუვერვილი, რომელიც რუსეთის მცოდნეთ ითვლება საფრანგეთში. რამოდენიმეჯერ არის ნამყოფი რუსეთში სამეცნიერო მიზნით. დე-კუვერვილი არის თავმჯდომარე იმ საზოგადოებისა, რომელიც შესდგა საბჭოთა კავშირის ტექნიკურ ორგანოებთან თანამშრომლობის მიზნით საბჭოთა კავშირში მეტრიული სისტემის გატარების საქმეში.

კომუნისტების გასამართლება

ბერლინი, 27 იანვ. რესპუბლიკის უშიშროების ტრიბუნალმა მიუსაჯა ბრესლავის კომუნისტურ ორგანო „შლეზიშე არბეიტერ ცაიტუნგ“-ის რედაქტორ შულცს 9 თვით დაპატიმრება „სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეებისათვის და რესპუბლიკის დროშის შეურაცხყოფისათვის“.

20 იანვარს ამავე ტრიბუნალში დაიწყო გერმანიის კომპარტიის ზიგერლეს ორგანიზაციის 15 წევრის გასამართლება, რომელთაც ბრალს სდებენ სახელმწიფო ღალატში, იარაღის გატაცებაში და ასაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვის შესახებ კანონის დარღვევაში.

საკავშირო თათბირი მებამბეობაზე

მოსკოვი, 27 იანვ. მებამბეობის მთავარ კომიტეტთან დღეს იხსნება მებამბეობის სრულიად საკავშირო მეოთხე ყრილობა. თათბირის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას საშუალო აზიის მებამბეობის სახელმწიფო ამხანაგობები და ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის მუშაკთა გარდა იმ რესპუბლიკების წარმომადგენლებიც, სადაც გავრცელებულია მებამბეობა, საფეიქრო მრეწველობის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სახელმწიფო საგეგმო კომისიის სათანადო განყოფილებების წარმომადგენლები.

თათბირის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: 1. მებამბეობის მთავარი კომიტეტის მოხსენება, 2. მოხსენება ადგილებიდან. 3. თესვის კამპანიის გეგმა 1925—26 წლისთვის. 4. მებამბეობის მთავარი კომიტეტის საფინანსო პოლიტიკა და ავანსების მიწოდების საქმე ბამბის მთესველთათვის და სხვა.

ლენინის გარდაცვალების წლის თავი პოლონეთში

ვარშავა, 27 იანვ. პოლონეთის მრავალ ადგილებში მუშათა ორგანიზაციებმა აღნიშნეს ლენინის გარდაცვალების წლისთავი მრავალრიცხოვანი კრებებით.

დომბროვოს და აღმოსავლეთის ნაპირებში ამასთან დაკავშირებით მოხდა მრავალი დაპატიმრებანი.

გლეხკორის და მისი მშობლების მოკვლა

მინსკი, 27 იანვარი. სოფელ ლიშნში ორშანის ოლქში მოჰკლეს გლეხკორი მუშფაკელი რაკუნოვი, რომელიც ამჟღავნებდა კულაკებს და [illegible]. მოკლულია მისი მამა და ძმაც, დედა დაჭრილია.

ბელგიის კომპარტიის კონგრესი

პარიზი. 26 იანვარი. ბრიუსელში შემდგარმა ბელგიის კომპარტიის კონგრესმა ერთხმათ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ესალმება საერთაშორისო რევოლუციის წინამორბედ ბოლშევიკურ რევოლუციის დიდებულ ბელადის ხსოვნას რეზოლუცია აცხადებს, რომ ბელგიის კომპარტია ეთანხმება კომინტერნის მეხუთე კონგრესის გადაწყვეტილებებს და ადგენს [illegible], რომ მთლიანად განახორციელოს ისინი; ბელგიის კომპარტია მტკიცეთ ივლის ლენინიზმის გზით და არ გადაუხვევს მას.

სეიდის გარდაცვალება

ვარშავა. 26 იანვარი. ბრმა ნაწლევის ანთებით გარდაიცვალა პოლონეთის სეიმის თავმჯდომარის ამხანაგი, ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი, სეიდი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ცენტრალური საკოლონიზაციო კომიტეტი.

მოსკოვი, 27 იანვ. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა პროექტი ცენტრალურ საკოლონიზაციო კომიტეტის დაარსების შესახებ; ამ კომიტეტს მიენდობა საბჭოთა კავშირის საკოლონიზაციო პოლიტიკის ხელმძღვანელობა, კოლონიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯთაღრიცხვათა განხილვა და სხვა საკითხების გადაწყვეტა.

შეღავათი მოუსავლიან ადგილების მცხოვრებთათვის.

მოსკოვი, 27 იანვ. საბჭოთა კავშირის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, მოუსავლიან რაიონების მცხოვრებთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ, საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს სარეწაო გადასახადისაგან იმ მოქალაქეების სრულიად განთავისუფლებას რომელნიც გარდა მიწათმოქმედებისა ეწევიან შინა, ტყის, თევზის და სხვა მრეწველობას მექანიკურ მანქანების და დაქირავებულ ძალის დაუხმარებლად. ხელოსნების და შინამრეწველებისათვის, რომელნიც მიწათმოქმედებას ეწევიან გადასახადი შეიძლება შემცირდეს 50 პროცენტით.

სახელმწიფო გადასახადების შეკრება.

მოსკოვი, 27 იანვ. 1924—25 წლის პირველ მეოთხედში შემოვიდა გადასახადებიდან—334 მილიონი მანეთი, პირდაპირი გადასახადებიდან შემოვიდა დაახლოვებით 70 პროცენტი. წარსულ მეოთხედთან შედარებით სასურსათო გადასახადის შემოტანა გადიდდა 74 პროცენტით უმთავრესად სასოფლო-მეურნეობის ხარჯზე.

ლომონოსოვის სისტემის ორთქლმავალი.

მოსკოვი 27 25 იანვარს მოხდა ლომონოსოვის სისტემის ორთქლმავლის საცდელი მოგზაურობა ბრიანსკში და უკან. მგზავრობას საუცხოო შედეგი მოჰყვა. ამ დღეებში ორთქლმავალზე მოხდენილ იქნება რეგულიარული მეცნიერული ცდები.

მღვდლობაზე უარის თქმა.

ცარიცინი, 26 იანვარი. ცარიცინის მღვდელ [illegible] არლოვმა გაზეთ „ბორბა“ში მოათავსა წერილი, რომლითაც უარსა ცხადებს მღვდლობაზე. ამ წერილში არლოვი სხვათა შორის ამბობს: „მეცნიერებამ ახდერძი აუგო სარწმუნოებას. ამიტომ დანაშაულია ამის შემდეგ მშრომელების მოტყუილება“.

უკრაინა

ქარიშხალი

ოდესა, 26 იანვარი. მიღებულია ცნობები, რომ ყირიმის და კავკასიის ნაპირებზე ხელახლა დაიწყო ძლიერი ქარიშხალი, რომელსაც თან სდევს გაძლიერებული თოვა. განსაკუთრებით ძლიერია ქარიშხალი კავკასიის ნაპირებზე. ნავთსადგურებში გაჩერებული არიან მთელი რიგი გემები, რომლებსაც არ შეუძლიათ ზღვაში გასვლა.

აზოვის ზღვის ნავთსადგურებიდან იტყობინებიან, რომ იქ დაიწყო ძლიერი ყინვები. მარიუპოლში ყინვა აღწევს 23 გრადუსს.

„სისხლიანი კვირის გმირი“



მღვდელი გიორგი გაპონი

რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

უნდა ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება

მოსკოვი, 26 იანვ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის სხდომაზე ვიკონინმა გააკეთა მოხსენება ლითონის მრეწველობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლითონის მრეწველობამ წელს მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარება, რომელიც საკმარისია საწარმოო პროგრამის შესასრულებლად ხელმოწერილ ფინანსიურ პოლიტიკის პირობებში, მაგრამ წარმოებები ხშირად იყიდებენ თავიანთ მატერიალურ საბრუნავ საშუალებებს—ნახევრად ფაბრიკატებს.

შემდეგ ვიკონინი შეეხო ლითონის გაიაფების საკითხს და აღნიშნავს, რომ მიუხედავათ თუჯის ფასის დაკლებისა 95 კაპეიკიდან—65 კაპეიკამდე ჩვენ მაინც ვერ გაუთანაბრეთ თუჯის ფასი საერთაშორისო ბაზრის ფასს. საჭიროა გავზარდოთ შრომის ინტენსიობა და ავამაღლოთ ვარგის ნაწარმოების პროცენტი.

შემდეგ ვიკონინმა ხაზი გაუსვა, რომ წარმოებათა ბალანსი ხშირად სრულიად არ გამოხატავს ნამდვილ ფინანსიურ მდგომარეობას. პროდუქციის თვითღირებულება არავითარ შემთხვევაში არ არის რეალური; ბუხჰალტერია სრულიად არაა დაკავშირებული ტექნიკურ-საწარმოო ანგარიშთან და შრომის პროცესთან. უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რათა თვითეულმა მუშამ წარმოებაში გაიგოს, რომ ის ასრულებს ცოცხალ სამუშაოს. უნდა იქნას მიღებული მხედველობაში ქვეყნის მოთხოვნილება ლითონზე.

ვიკონინის მოხსენების გამო ძერჟინსკი აღნიშნავს, რომ იმ მომენტიდან, როდესაც მოხდა მუშური რევოლუცია, მუშათა კლასი პასუხისმგებელია ყველაფრისათვის. თუ ჩვენ შრომის ნაყოფიერებას არ ავსწევთ, ჩვენ, როგორც საბჭოთა მუშური სახელმწიფო, ვერ ვიარსებებთ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ უნდა აწარმოოს მუშაობა მუშების ინიციატივის წასაქეზებლად.

შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეს ძერჟინსკის აზრით ხელს უშლის დაბალ ტექნიკურ პერსონალის მდგომარეობა, რომელიც ადვილად გაწირულის დაშინებას. არ მოიპოვება არც ერთი ხელოსანი, ან ინჟინერი, რომელსაც წარსულში არ მიუძღვოდეს რაიმე შეცდომა და არ დასჩენოდეს რაიმე ლაქა. ამიტომ, თუ ვინმე შეურაცხყოფილია, მას შეუძლია გადააყენოს ასეთი ინჟინერი ან ხელოსანი, ან და სახელი გაუტეხოს მას. ამ მხრივ ცენტრალური საკონტროლო კომისიის ორგანოებს ძლიერ ეთამაშათ დიდი როლი ჩვენი ტექნიკური პერსონალის შერჩევის საკითხში, როდესაც საჭიროა უკანასკნელის დაცვა დაუსაბუთებელ თავდასხმისაგან.

შემდეგ გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს ლითონის მრეწველობის სხვადასხვა მოვლენები. უმრავლესობა ეთანხმებოდა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თეზისებს.

საბოლოო სიტყვაში ვიკონინმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ წარმოებებში დამხმარე მუშების ნამუშევრის ნორმა თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ომამდე მაშინ, როდესაც მაღალი კვალიფიკაციის მუშათა შორის სხვადასხვა ჯგუფები აღწევენ ომის წინა დროის ნორმაზე მეტს. ძალიან მნიშვნელოვანია საკითხი სპეციალისტების შესახებ. საჭიროა კიდევ ვიმუშაოთ ამ საკითხში, რათა ნორმალურ პირობებში ჩავაყენოთ ლითონის მრეწველობის ადმინისტრატიული [illegible]. საჭიროა სრულიად კონკრეტულად მივუთითოთ ჩვენს წარმოებებს, რათა მათ თავისუფლად არ გააფართოვონ ლითონის მომხმარებელთა კრედიტები. სარაციონალიზაციო კომისიებში მონაწილე ამხანაგებმა უნდა გამოიჩინონ ფართო აქტივობა და იყონ დაინტერესებული წარმოებების ყველა საკითხებით.

წითელი საჰაერო ფლოტი

ესკადრილია „წითელი მოსკოვი“

მოსკოვი. 23 იანვარი. გუშინ ტროცკის სახელობის ჰაეროდრომზე მოსკოვში 13-ე საგუბერნიო პარტკონფერენციამ ზეიმით გადასცა წითელ საჰაერო ფლოტს ესკადრილია „წითელი მოსკოვი“—12 ჰაეროპლანი, რომელიც აშენებულია მოსკოვის მუშათა და მუშა-ქალთა საშუალებით.

მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ვოროშილოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მიუხედავათ საბჭოთა კავშირის თანდათან გაძლიერებისა, რაც გამოიხატა ევროპის სახელმწიფოების მიერ ცნობაში, ჩვენ უეჭველია მოგველის სერიოზული გართულებანი, ვინაიდან დასავლეთ ევროპის კაპიტალი ჯერ კიდევ ილესავს ჩვენზე კბილებს. ვოროშილოვმა დაამთავრა სიტყვა მოწოდებით, განაგრძონ საჰაერო ფლოტის მშენებლობა, რასაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

13-ე საგუბერნიო პარტკონფერენციის სახელით გამოვიდა ციპოლი, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ საჭირო მომენტში ეს თვითმფრინავები თავის ფრთებით გაავრცელებენ ილიჩის აღთქმებს მთელ მსოფლიოს მშრომელთა შორის. ორეხოვო-ზუევის მუშათა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორეხოვო-ზუევის მუშები, იძლევიან რა დღეს ერთ თვითმფრინავს, იძლევიან სიტყვას, რომ მომავალში საჰაერო ფლოტს გადასცემენ მთელ ესკადრილიას.

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია

მოსკოვი. 27 იანვ. მოსკოვის მე-13-ე საგუბერნიო პარტკონფერენციის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ცეკას მოხსენების გარშემო. შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კამენევმა, რომელმაც პასუხი გასცა მთელ რიგ შეკითხვებზე.

კამენევი ლაპარაკობს ლიმიტების შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ ლიმიტებმა გლეხობას მისცა საშუალოდ ფუთ პურზე 20 კაპეიკით მეტი შარშანდელთან შედარებით. 300 მილიონი ფუთის შესყიდვით სახელმწიფომ გადასცა გლეხობას დიდძალი თანხა, რითაც გააფართოვა გლეხთა მოთხოვნილება ქალაქის მრეწველობის პროდუქტებზე. შემდეგ კამენევი ეხება ამა წლის ექსპორტს მოუსავლიანობასთან დაკავშირებით და ამბობს: „წელს ჩვენი პროგრამის მიხედვით გაზიდული უნდა იქნეს 466 მილ. მანეთის საქონელი, შემოზიდული იქნა 392 მილ. მანეთ. შარშან ჩვენ გავიტანეთ საზღვარგარეთ 200 მილ. მანეთის პური; წელს ჩვენ პურის ექსპორტის დანაკლისი უნდა შევავსოთ ნავთის, კარაქის, კვერცხის, დახოცილი ფრინველების, სელის, ლორების და სხვ. გაზიდვით. ამით ჩვენ უცხოეთის ბაზარს ვუკავშირებთ საგლეხო წარმოებას. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მიმართულია იმის წინააღმდეგ, რომ საგლეხო მეურნეობის პროდუქტი არ დაიტაცონ ევროპის მეტოქე კაპიტალისტებმა, რომლებიც, ცხადია, გაძარცვავდნენ გლეხს. იმ შემოსავალს, რომელიც რჩება შინაურ და გარეშე ბაზრის ფასების განსხვავებიდან, კაპიტალისტები თვითონ ჩაიდებენ ჯიბეში. ჩვენ კი ამ შემოსავალს ვტოვებთ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ხელში, რათა ის მოხმარდეს საგლეხო მეურნეობის ტექნიკურ გაუმჯობესებას.

რეზოლუცია კამენევის მოხსენების გამო.

კონფერენცია ცეკას მოხსენების გამო ერთხმად ღებულობს რეზოლუციას, რომელშიაც ნათქვამია: კონფერენცია, რომელმაც მოისმინა და განიხილა კამენევის მოხსენება ცეკას მუშაობის შესახებ და აღნიშნა სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში მიღწეული წარმატებები, სავსებით ადასტურებს როგორც ცეკას საერთო პოლიტიკის, ისე მის ცალკე ღონისძიებათა სისწორეს და სრულ ნდობას უცხადებს ცეკას.

კონფერენცია ერთი წუთითაც არ ივიწყებს კაპიტალისტური კლასების მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ და ესალმება ცეკას ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია წითელი არმიის გაძლიერებისაკენ.

კონფერენცია აუცილებლად სთვლის, რომ მუშების და გლეხების ფართო მასებს კვლავ განემარტოს, თუ რამდენად მავნებელია ლენინიზმის რევიზია ტროცკის მხრით, ის ფიქრობს, რომ მორიგი პარტიული ყრილობა გამოიტანს აუცილებელ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დასკვნებს ტროცკის გამოსვლებიდან.

კონფერენცია მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრებს განაგრძონ ცეკას ხელმძღვანელობით ენერგიული მუშაობა ლენინის ანდერძის განსახორციელებლად.

ამხ. უგლანოვის მოხსენება

25 იანვრის საღამოს სხდომაზე ამხ. უგლანოვი მოხსენებას აკეთებს მოსკოვის კომიტეტის მუშაობის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ მოსკოვის კომიტეტის მუშაობა შეიცავდა უმთავრესად გუბერნიის ეკონომიური ცხოვრებისა და მუშათა კლასის და გლეხობის მასიური ორგანიზაციების ხელმძღვანელობას. რ. კ. პ. მოსკოვის ორგანიზაციის კანდიდატთა რიცხვი 1925 წლის 1 იანვრისათვის გაიზარდა 90,000-დე, მე-12-ე პარტკონფერენციის დროს ეს რიცხვი უდრიდა 74,000-ს. ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში კვლავ შემოვიდა 2.000 განცხადება მუშებისაგან, რომელთაც სურთ პარტიაში შესვლა. გასული პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური ცოდნის სკოლები და წრეები გაიარა 66.000 წევრმა და კანდიდატმა.

ამხ. მატვეევის თანამოხსენება

ამხ. მატვეევმა გააკეთა თანამოხსენება რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციამ ჩინებულად ჩააბარა გასულ პერიოდში ორი პოლიტიკური გამოცდა: თავისი კომკავშირული და საერთო პარტიული ტროცკის ახალი გამოსვლების დროს.

უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში კომკავშირის ორგანიზაცია ორჯერ გაიზარდა, მასში ითვლება დაახლოვებით 100,000 წევრი და კანდიდატი. ლტოლვა კომკავშირისაკენ თანდათან ძლიერდება.

კამათი რ. კ. პ. კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის მოხსენების გარშემო გადაიდო 26 იანვრისათვის.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, პარასკევს, 30 იანვარს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი წამოაყენონ რაიკომებმა და უჯრედებმა.

თბილისის კომიტეტის მდივანი ასრიბეკოვი.

თბილისში საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად

თბილისის საბჭოს გადარჩევის წინასწარი კამპანიის ჩასატარებლად თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების მიერ მიმაგრებული არიან მსხვილ წარმოებებზე შემდეგი ამხანაგები:

პირველი რაიკომი: ხუთშაბათს, 29 იანვარს, დღის 3 საათზე, მთავარი სახელოსნოები—სუხიშვილი და მამულია. დეპო—მესხი.

მეორე რაიკომი: ხუთშაბათს, 29 იანვარს, საღამოს 6 საათზე. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი—სუხიშვილი და მესხი.

ორშაბათს, 2 თებერვალს, დღის 3 საათზე. „26 კომუნარის“ სახელობის მელითონეთა კლუბი—რუხაძე.

მესამე რაიკომი: ოთხშაბათს 28 იანვარს, დღის 4 საათზე. ნავთლუღი—ამხ. სუხიშვილი.

ორშაბათს, 2 თებერვალს, დღის 3 ნახ. საათზე. საპნის ქარხნის და ტყავის ტრესტის მუშების გაერთიანებული კრება, ტყავის ტრესტის კლუბში—სუხიშვილი.

მეოთხე რაიკომი: ოთხშაბათს, 28 იანვარს, საღამოს 6 საათზე. მბეჭდავთა უჯრედების ბიუროების სხდომა ქალაქის აღმასკომის დარბაზში—ქაცარავა.

ოთხშაბათს, 28 იანვარს, დღის 3 საათზე. ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა—მოხსენება ამხ მამულაიშვილის.

დღის წესრიგი საერთო კრებებისათვის:

მოხსენება თბილისის აღმასკომის და საბჭოს მუშაობის შესახებ.

ს. კ. პ. თბ. კომ. საგ.-საპრ. განყოფილება.

მისალმება

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტ. ფედერატიულ რესპუბლიკის სანაპირო რაზმის ყველა მებრძოლთა სახელით—სანაპირო რაზმის წითელ-არმიელთა პირველი კონფერენცია რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახით ესალმება ლენინის კომუნისტურ პარტიას.

კონფერენცია დარწმუნებულია, რომ კომუნისტური პარტია მომავალშიაც ისევე გაბედულათ და მტკიცეთ წაიყვანს მშრომელ მასებს ვლადიმირ ილიჩის მიერ ნაჩვენები გზით კაპიტალის სრულ დამარცხებამდე. არავითარი გადახრა ლენინის გზიდან.

გაუმარჯოს ერთიან, ურყევ, ფოლადივით მტკიცე ლენინის კომუნისტურ პარტიას!

ამიერ-კავკასიის საგანგებო კორპუსის სანაპირო ჯარების წითელ არმიელთა 1-ლი კონფერენციის პრეზიდიუმი.

ქალთა შორის მუშაობა გორში

ა | წ. იანვრის 11 შესდგა გორის რაიონის ქალთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო როგორც მუშა-მოსამსახურეები, ისე დიასახლისი ქალები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მშრომელი ქალის როლი სახალხო სასამართლოში და ქალების არჩევა სახ. სასამართლოში მონაწილეობის მისაღებად.

პირველი საკითხის შესახებ მეტად პოპულიარული და ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. კვაჭანტირაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას განუმარტა სახალხო სასამართლოს და მასში ქალის მონაწილეობის მნიშვნელობა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ სახ. სასამართლოში გაყვანილი იქნა 90 ქალი, მათ შორის ერთი დამცველათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა საზოგადოებამ გორის სამაზრო საბავშვო სახლზე აიღო შეფობა, რითაც ის მიზნათ ისახავს გაუწიოს ყოველგვარი დახმარება და შეიტანოს თავისი წვლილი მოზარდ პიონერთა საერთო მუშაობაში. საშეფო კომისიის წევრები უკვე კიდეც შეუდგნენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას. ისინი ჰკერავენ ბავშვებთათვის პალტოებს, ქსოვენ თბილ ჩულქებს და მომავლისათვისაც მზად არიან დაეხმარონ მათ ყოველ წუთს.

მ. თ.—ძე.

წარმოკავშირის კომუჯრედის მუშაობა

წარმოკავშირის კომუჯრედი დაარსდა ხუთი თვის წინათ. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც საბოლოოდ გაძლიერდა, განმტკიცდა და მიიღო ნამდვილი იურიდიული სახე საქართველოს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციამ. უჯრედი აკავშირებს 25 პარტ-ამხანაგს.

გასული ხუთი თვის განმავლობაში უჯრედმა გარდა სპეციალური ყოველკვირეული კითხვებისა, რომელსაც დღის წესრიგში სვამდა თბილისის კომიტეტი, გამოიმუშავა პროგრამა, შეადგინა ცხრილი და გაანაწილა მოხსენების თემები მომხსენებლების დანიშვნით. ჩვენი მოხსენებები იმით არის თვალსაჩინო და საყურადღებო, რომ ის შეიცავს ჩვენი ქვეყნის წარმოების ერთ რომელიმე თვალსაჩინო სამეურნეო დარგს მაგ.: მეცხვარეობას, მეღვინეობას, მეხილეობას, მებამბეობას, მეთამბაქოეობას და სხვ. ამ მოხსენებიდან ჩვენ ვეცნობით ამა თუ იმ კოოპერატიული ამხანაგობის საქმიანობას და მიღწევებს. დღემდე მოვისმინეთ სულ სამი მოხსენება კოოპერატიული ორგანიზაციის შესახებ, შემდეგში კი სისტემატიურათ იქნება მოხსენებები ერთობ საინტერესო კითხვებზე.

გარდა ამ ხასიათის მოხსენებებისა კეთდება მოხსენებები საერთაშორისო პოლიტიკური მიმოხილვის შესახებაც.

ღია კრებები.

კომუჯრედს გადაწყვეტილი აქვს მტკიცე კავშირის დამყარება უპარტიო მასებთან. ხელი-ხელ ჩაკიდებული თანამშრომლობა პარტიული და უპარტიო მუშაკთა მოგვცემს ჩვენ იმას, რაც გვიანდერძა პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ამხ. ლენინმა. კოოპერაცია, სადაც ჩვენ ვმოღვაწეობთ, შეიქმნება ქვაკუთხედი სოციალისტური წესწყობილების დამყარებისათვის.

როგორ შევძლებთ ჩვენ ამ ძმური კავშირის დამყარებას უპარტიო მასასთან? ჩვენ ამას შევსძლებთ ერთი-მეორის ნდობით და პატივისცემით. კომუნისტური პარტია და ყოველი მისი წევრი ამხანაგური ხელს უწვდის პატიოსან უპარტიო თანამშრომელს, რომელიც გულწრფელად თანამშრომლობს საბჭოთა, მუშურ-გლეხური ხელისუფლების ამა თუ იმ სარბიელზე. მაგრამ, თუ ეს ნდობა და პატივისცემა ვინმემ ბოროტად გამოიყენა და ლახვარის ჩაცემა მოინდომა მუშებსა და გლეხებს, ამის უფლებას მას არავინ არ მისცემს.

პირველ საშუალებით უპარტიო მასასთან კავშირის გასაბამათ ჩვენ სთვლით კომუჯრედის ღია კრებებს. ყოველ უპარტიო თანამშრომელს ეგონა კომუჯრედი ეს ვიწრო პარტიული განკერძოებული ორგანიზაცია იყო. მაგრამ, როდესაც უპარტიო მასა გაეცნობა კომუჯრედის მუშაობას ღია კრებებზე, ჩაებმება უჯრედის პრაქტიკულ მუშაობაში, მიიღებს აქტიურ მონაწილეობას. როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ხასიათის საკითხების გარჩევაში,—ის დარწმუნდება, რომ უჯრედი არის ცოცხალი, ერთი საბჭოთა აღმაშენებლობის მამოძრავებელ და შემქმნელ კომუნისტური პარტიისა.

23 იანვარს მოხდა უჯრედის ღია კრება, რომელზედაც დასმული იყო ორი საკითხი: ერთი მოხსენება გასული კვირის კურსის საერთო მიმოხილვის და მეორე მეცხვარეთა ამხ. „[illegible]“ გამგეობის მუშაობის შესახებ. კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი უპარტიო თანამშრომლებისა, რომელნიც დიდი ინტერესით ისმენდენ მოხსენებებს და იღებდენ ცოცხალ მონაწილეობას შეკითხვებში და კამათში. უპარტიოთა რიცხვიდან გამოირკვა, რომ ისინი ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ სხდომით, ამასთანავე მათ ითხოვეს, რომ კომუჯრედმა ხშირად მოიწვიოს ასეთივე ღია კრებები და მათაც მისცეთ საშუალება გააკეთონ მოხსენებები თავიანთ დარგის სპეციალურ კითხვებზე, რაზედაც კომუჯრედის ბიურომ სიამოვნებით თანხმობა განაცხადა და შეიტანა მოხსენებათა ცხრილში მათი თემებიც.

24 იანვარს კი შესდგა თანამშრომელთა საერთო კრება, სადაც გაკეთებული იქნა ორი მოხსენება: „ერთი წელი ულენინოთ“ და „პირადი მოგონებანი ამხ. ლენინზე“. პირველი საკითხის შესახებ ილაპარაკა ამხ. გოგოლაძემ, მეორეზე ამხ. ლადო დუმბაძემ. დამსწრენი სიამოვნებით ისმენდენ ორივე მოხსენებებს, განსაკუთრებით ამხ. ლადოს მოგონებებს.

სიტყვების დამთავრების შემდეგ დაარსდა „[illegible]“ უჯრედი, არჩეული იქნა ბიურო და სარევიზიო კომისია, რომლებიც შეუდგებიან თავიანთი მუშაობის შესრულებას. კუში

ს. შუხუთ ს კომუჯრედში

ა | წ. იანვრის 19-ს შესდგა შუხუთის თემის კომუჯრედის გაერთიანებული კრება უპარტიოთა და კომკავშირელების თანდასწრებით.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 9 იანვრის მნიშვნელობა და ლენინის გარდაცვალების წლის თავზედ.

ორთავე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მამია კილაძე, რომელმაც ვრცლად განუმარტა დამსწრე ამხანაგებს 9 იანვრის სისხლიანი კვირის წარსული ისტორია და მღვდლის გაპონის ღალატი პეტროგრადის პროლეტარიატისადმი.

შემდეგ მომხსენებელმა გააცნო კრებას ამხ. ლენინის ბიოგრაფია, მისი მოღვაწეობა და მისი ლენინიზმის საერთაშორისო მნიშვნელობა. კრებით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ.

ლ. ლოლიძე.

ავდრი ამიერ-კავკასიაში

27 ი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარბუქი, რომელიც განახლდა 26 იანვრის საღამოს 10 საათზე, გრაკალ-მეტეხს შუა 27 ნოემბერსაც გრძელდებოდა. სამგზავრო მატარებელი № 9 გაჭედებულია გრაკალ-მეტეხს შუა. მატარებლის დასახმარებლად გაგზავნილ იქნა სად. გრაკალიდან ორთქლმავალი, რომელმაც მოახერხა მგზავრებით სავსე ხუთი ვაგონის უკანვე გრაკალში დაბრუნება. როცა იგივე ორთქლმავალი უკანვე გაბრუნდა და ნარჩენი ვაგონების წამოსაყვანად, თვითონ ჩაეფლო თოვლში. დილით 27 იანვარს ეს ორთქლმავალი დაბრუნდა, მაგრამ სად. გრაკალთან ლიანდაგს ასცდა. ორთქლმავალი წამოყვანებულ იქნა.

ბათომ-ზესტაფონს შუა სიმშვიდეა. თოვლი აღარ მოდის. გამოდარებულია.

ქუთაისის და სურამის შუა გზების თოვლისაგან გაწმენდა გრძელდება. ბორჯომის შტოზე მუშაობს თოვლსაწმენდი მატარებელი.

კახეთის ხაზზე, 26 იანვარს ღამით ამოვარდა ქარბუქი. დიდი თოვლი დაიდო მე-28 ვერსზე. თოვლსაწმენდი მატარებლის დახმარებით, მატარებლებმა დიდი გაჭირვებით გაიარეს თოვლის ზვავები და დიდი დაგვიანებით მიაღწიეს დანიშნულ ადგილს.

ტყვიბულის ხაზზე მოძრაობა აღდგენილია.

ავდრი სოხუმში

სოხუმი 27 იანვ. მთელ აფხაზეთში სდგას ყინვები. დღეს თოვა დაიწყო.

დიდი თოვლი აჭარისტანში

ბათომი 27 იანვ. აჭარისტანში კვლავ დიდი თოვლი მოვიდა. უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში (ხულოში მოთოვა ორ არშინამდე).

თოვლი გორის მაზრაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გორის მაზრაში ა. წ. 23 დეკემბრიდან დაწყებული თოვლი ყოველ დღე მატულობს, იგი ამჟამად აღწევს არშინ ნახევარს. მაზრაში მიმოსვლა ურმის გზით თითქმის შეწყვეტილია გორის ბაზარზე მცირეთ შემოდის სურსათ-სანოვაგე და აგრეთვე შეშა, რის გამოც ადგილობრივი მცხოვრებნი შეწუხებული არიან.

მოსალოდნელია ახლა წყალდიდობა. საჭიროა ახლავე წინდახედულობა, რომ მას გორის მცხოვრებნი მომზადებული დახვდნენ.

ვ.

აზერბეიჯანი

გზა ბალაჯარიდან ჩრდილოეთისაკენ 26 იანვრის ღამის 11 საათიდან გაწმენდილია და მიმოსვლა აღდგენილია.

ბალაჯარა-ბაქოს და ბალაჯარა-ელბათის უბნებში მოძრაობა სწარმოებს ჩრდილოეთის გზით. ამჟამად კარგი დარია. თოვლმწმენდი, რომელიც 1119 ვერსზე თოვლში ჩაეფლო, 26 იანვრის ღამის 11 საათზე უკვე წამოყვანებულია.

ა.-კ. რკინისგზელთა პროფსაბჭოს პლენუმი

მეორე სხდომა

კამათი

პროფსაბჭოს მუშაობის გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს:

ამხ. ამხ. ჯანჯალიამ, გოგოლაძემ, მუსეიბ-იარ-მამედოვმა, გრიგორიანცმა, ბადიროვმა, გოგიბერიძემ, ვართანოვმა, ივანოვმა და სხვამ. ოპონენტები საერთოდ იწონებდენ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობას, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდენ ნაკლსაც. ოპონენტები ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ რკინისგზელთა ხელფასის მოწესრიგების საკითხში არ არსებობს მტკიცე ქვალიფიკაცია. ხშირია მოვლენა, როცა ერთი და იგივე თანამდებობის და სტაჟის მუშაკი ღებულობს ხელფასს სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით. პროფორგანოების სატარიფო გეგმაში, ორატორთა აზრით აუცილებლად უნდა შევიდეს ხელფასის კვალიფიკაციის მოწესრიგებაც. მეორე საჭირბოროტო საკითხად ოპონენტებს მიაჩნიათ პროფორგანოების და რკინისგზელთა ადმინისტრაციასთან დამოკიდებულება, რომელიც ორატორთა აზრით, ვერ ჩაითვლება სავსებით ნორმალურად. ადმინისტრაცია ხშირად გვერდს უხვევს პროფორგანოებს და მათთან შეთანხმების გარეშე სცემს ისეთ განკარგულებებს, რომელიც აუცილებლად მოითხოვს პროფორგანოსთან შეთანხმებას მაგ. მუშა-მოსამსახურეთა ერთი ადგილიდან გადაყვანა გადმოყვანა და სხვა. ამ ანორმალობის ერთ-ერთ ასაცილებელ საშუალებათ ოპონენტები სთვლიან ადმინისტრატიული აპარატების გაჯანსაღებას მისი „მუშური ელემენტების“ შევსების საშუალებით. ადმინისტრატიული აპარატის მუშებთან დაახლოვება მოსახერხებელია მხოლოდ ამ გზით და პროფსაბჭოს ერთი ძირითადი ამოცანა,—არის თავისი საქმიანობა მიმართოს ამ საკითხის გადაჭრისაკენ.

ამხ. საბაშვილის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. საბაშვილი ამბობს, რომ ა.-კ. რკინისგზა ჩვენი ფედერაციის ეკონომიური ძლიერების ერთი უმთავრესი ძარღვია. იგი ეკონომიურად და პოლიტიკურად აერთიანებს სამი რესპუბლიკის მშრომელთ და ქმნის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის უფრო მჭიდრო გაერთიანებისთვის მტკიცე დასაყრდენს. ამიტომ ტრანსპორტის წესიერად დაყენებას ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის აქვს უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა. ხოლო რკ. გზის მიერ თავისი ფუნქციების წესიერად ასრულებისთვის აუცილებელია შრომის დისციპლინის განმტკიცება. ის უბედური შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდა რკინისგზაზე, ამხ. საბაშვილის თქმით, რამდენიმეთ შედეგია იმისა, რომ ამიერ-კავკასიაში შრომის დისციპლინის საკითხი ყველგან სათანადოთ ვერ არის მოგვარებული. ჩვენს პროფორგანოებს აწევს დიდი მოვალეობა პროფესიონალურ დისციპლინასთან ერთად გააძლიერონ თავის წევრებში შორის თავის მოვალეობის ფხიზლად შესრულების შეგნება რომ შრომის მტკიცე დისციპლინით შესაძლებელი გახდეს ტრანსპორტზე შემაფერხებელი მოვლენების აღმოფხვრა.

მეორე დღე

დილის სხდომა

ეკონომიურ სატარიფო დარგის მომავალი მუშაობის შესახებ მოხსენებას კეთებს ამხ. [illegible], რომელიც უმთავრესად ეხება ხელფასის ტარიფიკაციის და დროზე გასტუმრების საკითხს. შემდეგ იგი პლენუმს უკითხავს სატარიფო ეკონომიური მუშაობის გეგმას, რომელსაც პლენუმი მცირე ცვლილების შემდეგ ამტკიცებს.

ამხ. ხეფანოვი, რომელიც პლენუმს აცნობს კულტურულ საგანმანათლებლო დარგის მომავალ სამუშაო გეგმას, საჭიროდ აღიარებს კლუბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოებისათვის ლიტერატურის და გამომცემლობის ეროვნულ ენებზე მიწოდებას.

პლენუმი ამტკიცებს აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მომავალ გეგმას.

რკინის გზის დამზღვევი კასის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. დიკი)

ამხ. მომხსენებელი მიმოიხილავს უკეთებს დამზღვევი კასის მუშაობას, რომელიც მისი თქმით მიმდინარეობდა რკინისგზელთა მე-5 ყრილობის და სოციალური დაზღვევის რწმუნებულთა თათბირის დადგენილებათა მიხედვით. სანატორიუმებში იგზავნებოდენ დაზღვეული ავადმყოფ. რკინისგზელნი და სწარმოებდა მათი მიმდინარე დახმარება, რომლის გასაიოლებლად დაწესდა საღამოობით დამზღვევ ორგანოების მუშაობა.

დამზღვევ სალაროს ფინანსიურ მდგომარეობის გაჯანსაღებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ყველა დაწესებულებებს არ შეაქვთ თავის დროზე დასაზღვევი გადასახადი. მომავალში ეს საქმე უნდა გამოსწორდეს. საკურორტო მკურნალობის გასაფართოვებლად რკინის გზის დამზღვევი სალაროები ლიბანიაში აგებენ დიდ სანატორიუმს, რომელიც ამ მოკლე ხანში დამთავრდება. სოციალური დაზღვევის ცენტრ. სამმართველომ სანატორიუმის ასაგებად გადასდო 250 ათასი მანეთი.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს შრომის ინვალიდთა დახმარების გაუმჯობესებას გაცემის ზოლების გაუქმების გამო.

რკ. გზის ჯან. განყოფილების მოხსენება

(მომხსენებელი ამხ. შავერდოვი)

ამხ. შავერდოვი პლენუმს მოახსენებს, რომ საბჭოთა მედიცინის პრინციპების გატარების და ამ პრინციპების ა | კ. რესპუბლიკების კონსტიტუციასთან შეთანხმების მიზნით, ამ 1925 წლიდან უქმდება რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია და მის ნაცვლად რკინის გზებზე იქმნება ა | კ. რესპუბლიკების ჯან. სახ. კომის. რწმუნებულის სამმართველო, რომელიც თავის მუშაობას აწარმოებს ჯანმრთელობის სახ. კომის. წარმომადგენელთა დადგენილების თანახმად.

მოხსენება იყო ინფორმაციული ხასიათის და კამათი არ გამართულა.

დანარჩენ მოხსენებათა გარშემო რეზოლიუციის მიღება გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

ს. ს. ზ. რ. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმაციო-განყოფილების კოლექტი

„წითელი ქართლის" შესახებ*)
(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ კომუნისტის № 21 27 იანვარს არის მოთავსებული ცნობა რომ კოოპერატივთა კავშირის „წითელი ქართლის" გამგეობის წევრებმა გაფლანგეს 20,000 მანეთი და მათ დასაპატიმრებლათ არის მიღებული ზომები. ეს ცნობები ყალბია, რადგან ასეთ მოვლენას არ ჰქონია ადგილი „წითელ ქართლში".

ჩემის აზრით ინფორმატორს, რომელიც იძლევა ასეთ ცნობებს, რომელიც დიდ ზიანს აყენებს კოოპერატიულ დაწესებულებას, უნდა მოეთხოვოს პასუხი ასეთი ყალბი ცნობების გავრცელებისათვის.

„წითელი ქართლის" გამგეობის წევრი ალ. ხვანიძე.

*) ჩვენ ვწუხვართ, რომ შეცდომაში შეგვიყვანა რეპორტიორმა, რომლის წინააღმდეგ მივიღეთ ზომები. რედ.

ქრონიკა

ქალის „კაცათ" გადაქცევის შესახებ.
(დეპეშა ფოთიდან)

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 20 მოთავსებული ცნობა ქალის მამაკაცათ გადაქცევის შესახებ არ არის მართალი *)

პარტკომის მდივანი მეგრელიშვილი.

სპარსეთის საკონსულოსაგან.

იმის გამო, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში თბილისში და პროვინციაში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, თითქმის სპარსეთის მთავრობა სპარსეთში სამსახურში იწვევს მუშებს და კვალიფიციურ მუშაკებს, გენერალური საკონსულო აცხადებს, რომ ეს ხმები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს ამიტომ ამ საკითხის შესახებ გენერალური საკონსულოსათვის ანდა თავრიზის რკინისგზის წარმომადგენელ ინჟინერ ტუმანოვისათვის მიმართვა უმიზნოა.

სპარსეთის გენერალური საკონსულო.

სესხი გლეხკომებს

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა და სრულიად საქართველოს გლეხკომების ცენტრალურ ბიუროს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც დიდი ზამთრის გამო გლეხკაცობას საქონლის საკვები გამოლია ასეთის შესაძენათ მისცეს სესხი თემის და სოფლის გლეხკომებს.

— **სკოლების რიცხვის ზრდა.** ქ. აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით თბ. მაზრაში 22—23 წ. არსებობდა 100 სკოლა 6.622 მოწაფით, 23—24 წ. 125 სკოლა 9,054 მოწაფით, ხოლო ამჟამად არსებობს 153 სკოლა 15,000 მოწაფით.

— **წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია.** თბ. მაზრაში არსებულ წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების შესანახად ქ. აღმასკომმა გადასდო 13,447 მან.

— **მიწის ქვეშ გასაყვანი ელექტრონის** მავთულის (კაბელის) დასამზადებლად ტრამვაის დირექციამ გადასდო 60,000 მან.

— **ტრამვაის დირექციამ ჩეხოსლოვაკიიდან** მიიღო 200 ცალი ტრამვაის ვაგონების ართახი.

— **საბინაო კოოპერაცია.** ქ. კომუნალურ განყოფილებამ დაამტკიცა მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის „მშენებელი".

— **ქ. ლაბორატორიის საჭიროებისათვის** მიმდინარე წელში, ქ. აღმასკომმა გადასდო 12,596 მანეთი 45 კაპ.

— **საქირურგიო იარაღების** შესაძენად საავადმყოფოებისათვის ჯანსახკომმა გასულ წელს გაიღო 1,569 მან. სამეურნეო ფონდიდან.

— **ქალაქის აბანოების** საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად 24—25 საანგარიშო წელში გადებული იქნა 99,219 მან. 30 კ., აქედან მუშა-მოსამსახურეებისათვის 65,039 მ. 55 კ.

— **სურამის სუსტ-ავადმყოფთა** ახალშენისათვის ჯანსახკომმა გაიღო გასულ წელს 11,103 მ., დაიხარჯა კი 9,364 მ 40 კ.

— **ა. კ. საგარეო კომ-სარიატმა** საზღვარგარეთიდან გამოიწერა 70 ცალი ხორბლის გადასარჩევი და დასახარისხავი მანქანა.

— **საჩივრების განხილვა გადასახადების შესახებ.** საქ. ფინსახკომთან შესდგა კომისია, რომელიც განიხილავს საჩივრებს ადგილობრივი გადასახადების შესახებ.

— **„შრომის საკითხების"** გამომცემლობამ გამოსცა შრომის კანონმდებლობის „მოამბე" № 1.

— **მაღაზიის გახსნა.** სახალხო მამულების ტრესტმა პუშკინის ქ. № 3 გახსნა დიდი მაღაზია, სადაც იყიდება ტრესტის საკუთარი ნაწარმოები.

— **პროფ-სნეულებათა წინააღმდეგ.** შრ. სახ. კომისარიატი შეუდგა წინასწარ-მუშაობას პროფ-სნეულებათა შემსწავლელ ლაბორატორიის დასაარსებლად.

ხელოვნება

— **„ოტელო".** დღეს, სახელმწიფო ოპერის თეატრში ქართველ მსახიობთა კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნება „ოტელო" ალ. იმედაშვილის მონაწილეობით.

— **რუსთაველის თეატრში**—წარმოდგენა სომხურ ენაზე.

— **ცირკში**—წარმოდგენა დუროვის მონაწილეობით.

— **წითელი თეატრი.** 28 იანვარს წარმოდგენილი იქნება „ლენინი ყველგან" კვირას, 1 თებერვალს „ჯოჯოხეთი".

შემთხვევები

— **სახლის დანგრევა.** 26 იანვარს საღამოს 8 საათზე ვაკეში ძლიერმა ქარმა დაანგრია სვიმონ სვირის სახლი მსხვერპლი არ ყოფილა. ზარალი გამოურკვეველია.

— **ცეცხლი.** 26 იანვარს საღამოს 5 საათზე რუსთავ. პრ. № 12 მოქ. მდივანის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა. ზარალი გამოურკვეველია.

— **მოსამსახურე ქალის გატაცება.** 25 იანვარს პანასკერტის ქ. № 41 სიკვდილის მუქარის ქვეშ ორ უცნობ პირებს წაუყვანიათ გიორგი მესხიშვილის მოსამსახურე ქალი როზა რიაგუშვილი 15—16 წლის მიღებულია ზომები ქალისა და ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად.

— **მეურმეების გაქურდვა.** 26 იანვარს ღამით ჩერქეზიშვილის ქუჩის ბოლოში მ[illegible] ბაქში დაბინავებულ სოფ. საგურამოს მცხოვრებ მეურმეებს მოპარეს 300 მან. სხვადასხვა ნივთები და ჯაჭვები.

— ამავე დღეს. მე-5 [illegible] ქ. № 41. მოქ. [illegible] ტრანსპორტიანცის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც აგრეთვე ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— **ფულის ამოცლა.** 26 იანვარს საღამოს 5 საათზე მოქ. დარია ოსავას კარლ-მარქსის მიერ ხიდ ტრამვაიში შესვლის დროს ჯიბიდან ამოაცალეს 40 მან.

— ამავე დღეს თბ. ხიზანში (სტრეტინის ქ. № 8) ბაგრატ თ მარიამ ჯიბიდან ამოაცალეს 105 მანეთი. იქვეთ შეიპყრეს მირზა მამედ ოღლი.

— **ცხენის ქურდი.** 26 იანვარს შეიპყრეს მოქ. იზრა ილ აჯი ყასიმ კიზი, რომელსაც აღმოაჩნდა 8 თვის წინ ა სოღანლუღში ამ უთინ ალი თულიშასათვის მოპარული ცხენი.

ქურდობა.

— 26 იანვარს, ერისთავის ქ. № 13 გაქურდეს ბარბალე ლომაურის ბინა.

— ამავე დღეს ჩ. რკ. ქ. № 9 ბოლქატი გელიბჯინის ბინიდან მოიპარეს 255 მან. ნივთები.

— **წითელარმიელების გაქურდვა.** 26 იანვარს კუკიის ქ. № 56 გაქურდეს წითელ-არმიელების ფეხბურთის და მალხაზოვის ოთახი, საიდანაც წაიღეს 130 მან. ხაზინის ნივთები.

---

*) ჩვენ ეს ცნობა გადმოგვცა „ზაკროსტამ" და დაიბეჭდა ყველა გაზეთებში. რედ.

მუშათა ცხოვრება

ჩვენც მოგვეცით სპეცტანსაცმელი
(რკ. გზ. საუბნ. პროფკავშირის საყურადღებოდ)

რკინ. გზ. მთავარ სახელოსნოებში თითქმის ყველა მუშებმა მიიღეს სპეცტანსაცმელი, გარდა მექანქანეების მათი თანაშემწეების და გამხურებლებისა. მიუხედავად იმისა რომ ყველა ესენი ფიზიკურად მომუშავენი არიან და მასთან ჭუჭყიანი არის მათი სამუშაო. მათ აქვთ საქმე ზეთთან, სათბობ მასალასთან და სხვა. ამის შესახებ რამდენიმე ჯერ მივმართეთ თხოვნით ადმინისტრაციას და ადგილკომსაც, მაგრამ ყველასგან ასეთი პასუხი მივიღეთ: თქვენ კოლექტიურ ხელშეკრულებაში არ ხართ მოხსენებულნი, და ასეთი პასუხით გაგვატარებინეს მთელი 1924 წელი და ვერ მივიღეთ ხსენებული ტანსაცმელი.

კარგი იქნებოდა რომ ახლა მაინც საუბნო პროფკავშირი მოგვეთავსებინა ხსენებულ ხელშეკრულებაში და დაგვაკმაყოფილებდნენ ჩვენც ისე, როგორც სხვა მუშა-ხელოსნები არიან ყველაფრით კმაყოფილნი.

მუშა ხიონელი.

საზოგადოება „მწყემსის" და „ქართლი"-ს მუშა-მოსამსახურეებში

იანვრის 21-ს საღამოს 7 საათზე „მწყემსი"-ის და „ქართლი"-ს მუშა მოსამსახურეთა შესდგა საზოგადო კრება. ამხ. [illegible] ინცაძე გამოვიდა მოხსენებით, რომელმაც საკმაოდ დაახასიათა ის, თუ რა გაკეთდა ამ ერთი წლის განმავლობაში. ამხ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კრება აღნიშნავს, რომ ამ ხანში პარტიამ შესძლო დიდი დადებითი მუშაობის ჩატარება „მაკრატელი"-ს პრობლემის გადაწყვეტა, სოფლისა და ქალაქის კავშირის გამოძლიერება, რაც შეადგენს ამხ. ლენინის ანდერძს და აგრეთვე ამხ. ლენინის ანდერძის განხორციელება კოოპერატიულ მუშაობის სფეროში. იქვე წაიკითხა ლექცია ექიმმა ლომაურმა: შემდეგ თემაზე „რა იწვევს ბავშვების დამახინჯებულად მშობიარობას".

სასურველია ასეთ ლექციებს ხშირად აწყობდეს „მწყემსი"-ს და „ქართლი"-ს ადგილკომი.

ინფ. შესტაკი.

შეინახეთ სახალხო ქონება.
ალმასკომის სადარაჯო სექციის საყურადღებოდ.

ავლაბრელი დარაბები წლობით ცარიელი რჩება და მათზედ არ არის არავითარი ყურადღება და მზრუნველობა მიქცეული მათ მოვლილი და პატრონი თითქმის არავინა ჰყავს. (მე მხედველობაში მაქვს ისეთი დარაბები, სადაც მარტო დუქნებია გაშენებული). ეს დარაბები ზიანდება შეუკეთებლობის გამო ინგრევა თანდათანობით სახურავი და შემდეგ რიგ. სადარაჯო სექციის საშუალება არა აქვს, რომ შეაკეთოს იგი რადგანაც ჯერჯერობით ბინების შეკეთება უჭირს. ძველ პატრონზედ ხომ ფიქრიც კი ზედმეტია შეკეთებისა, რადგანაც ის უკვე მის საკუთრებას აღარ შეადგენს.

აი სწორედ ამ დარაბებს ეპატრონებიან ერთი ჯურის ხალხი, რომელიც დღე და დღე ალაგებს სხვადასხვა ნაწილებს—კარებს, სახურავს, ფიცრებს და ეზიდება აგურებსაც კი და სადაც მარტო ფიცრულები იყო ხომ იმის ნაკვალევიც აღარა სჩანს. საჭიროა ასეთი დარაბების უკეთ თუ პატრონობა გადაკეთება ვერ მოხერხდება, დანგრევა მაინც რომ ჯერ კიდევ გამოსადეგი მასალა გადარჩენილი იქნეს ბრბოს გატაცებისაგან.

მუშკორი ნიკო მკერვალი.

სასადილო „ქიმერიონი" კერძებს აძვირებს.
(სამხედრო კოოპერატივის საყურადღებოდ).

სამხედრო კოოპერატივს აქვს გახსნილი წითელი სასადილო „ქიმერიონი", რომელშიდაც წევრებისათვის სადილი ღირს 38 კ. პურით.

ეს ფასები არის მხოლოდ 2—4 საათამდე. 4 საათის შემდეგ კი რომ შეხვიდე მუშა იყავ, თუ გინდ წევრიც. მოვა მოსამსახურე და გეტყვის სადილი უკვე გათავდა, არის „მორიგი" კერძი და ღირს 50 კაპ. ამ კერძის ხარისხი და საკვები თვისება ისეთივეა. რანაირიცაა სადილის მეორე კერძის.

რაშია საქმე? თუ მთელი სადილის ორი კერძი პურით ღირს 38 კაპეიკი, რატომ მარტო მეორე კერძი ღირს 50 კაპ.

საჭიროა სამხედრო კოოპერატივის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება და გაასწოროს ეს ნაკლი.

მუშა ი. მოხადილე.

ასეთი მუყლეფელები უნდა მოსპოთ
(მუშკოოპის საყურადღებოდ)

დღეს ჩვენს კოოპერატივში საქონელი ბევრი არის, მაგრამ ხანდახან კი ხდება უსიამოვნო მოვლენები. მაგალითად, საქ. მთავარ. მაღაზიებში იყო ერთი ვაგონი ქსოვილი „პოლუშუბკები" მოტანილი. ღირდა თითო ხუთი მანეთი და ჩვენ, მუშა მოსამსახურეთ მაშინ ფულები არ გვქონდა. ჯამ[illegible] დღეებში ეს ნივთები მაღაზიებში ვერსად ველარ ვიშოვნეთ კერძო მაღაზიებში კი ასეთები ბევრი იყო; ხუთი მანეთის ნაცვლად დაფასებული 10 მანეთად.

ეს კი არ უნდა ხდებოდეს დღეს. კერძო ვაჭრებს, ჩვენი კოოპერატივის რიგებს არ უნდა მივცეთ ას თი ჩვენთვის საჭირო საქონელი. იმედი გვაქვს, მიაქცევთ ჯეროვანს ყურადღებას ასეთ არა სასურველ მოვლენებს.

მუშა ილარ. კაციტაძე.

ფოსტებში

თ. ტ. ფ. უწყებას ისედაც დიდი ხარჯები აქვს და ქარმა და თოვლმა ხომ უფრო მეტი ხარჯები გამოიწვია. თითქმის ყველა ხაზები დაზიანდა. მექანიკოსი არშაკ დიდიზურაშვილი მადლობის ღირსია, რადგან მან ყველაზე უფრო რთული უბნის ტელეფონის ხაზის გაკეთება ისე შესძლო, რომ ერთხელაც არ დაზიანებულა. თ. ტ. ფ. სამხრეთველო მექანიკოსებმა უნდა ნიმუში აიღონ მათთვის [illegible] რომ მექანიკოსს უწინ ხის გაკეთება აღარ სჭირდება. ასე უნდა ხდებოდეს ზედამხედველთა დაწინაურების დროსაც, რაც უფრო უკეთეს შედეგებს მოგვცემს.

მუშა [illegible]

[illegible]
შორს ასეთი მუშები.
(მუშკოოპის საყურადღებოდ).

მე-3-ე თამბაქოს (ლენინის სახელობის) ფაბრიკის კოოპერატივში მოვიდა ორთავე თვალით უსინათლო მათხოვარი თავის ბავშვით პურის სასყიდლად. რადგან მას სულ ხურდა ფული ჰქონდა, კოოპერატივის მოსამსახურემ ბეჟანამ პური არ მიჰყიდა და ცარიელი გაისტუმრა. სასტიკი ბრძოლა ასეთ მუშებთან.

მუშა ვარსიმაშვილი.

ქილე ჩარხ-ვაჭრობა
(რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ).

ამ ბოლო ხანებში რკ. გზ. მომუშავეთა ოჯახებში გაძლიერდა ლენინით ვაჭრობა. ზოგიერთი მომუშავე თავის ცოლს როსტოვის ბილეთს უწერს, სადაც გზავნის მაგარ სასმელებით და იქიდან მანუფაქტურას იღებს, რასაკვირველია გასასყიდად.

საჭიროა ყოველგვარი ბილეთები, გარდა „რაზავოი" მოისპოს და მის მაგიერ მოსამსახურეს ჯამაგირი მოემატოს.

მუშკორი ჰარი.

ვინ აჩერებს საქმეს?
(რკ. გზებ. პროფ-კავშირებ-ს საყურადღებოდ).

იმ დროს, როდესაც ჩვენში მუშა სრულიად განთავისუფლდა და თვითონ განაგებს თავის სახელმწიფოს, ცხადია, რომ ასეთ მოვლენებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ საუბედუროდ ჩვენ საბჭოთა აპარატებში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ძველი „სპეც-ადმინისტრატორები", რომლებიც განაგრძობენ თავიანთ ბნელ აქმეებს ძველებურად.

წასულ წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში მთ. სახელოსნოების სახარატო საამქროს ზეინკალმა ფავლენიშვილმა დარგის შემფასებელ კომისიას წარუდგინა თავისი ახლათ გამოგონილი ორთქლმავალის „ფარსუნკა", რომლის დამზადებაც სამჯერ იაფი ჯდება, ვიდრე სხვა წინანდელი და დიდ ეკონომიასაც აკეთებს დასაწვავ მასალაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, კომისიამ სცნო იგი ვარგისად და ხელსაყრელად, რის შემდეგ დაადგინა, რათა მიღებულ იქნეს ფავლენიშვილის „ფარსუნკა" სახმარებლად. ეს ამბავი გამოაქვეყნეს დროზე ადგილობრივმა გაზეთებმა. ყველა ეს გაზეთები ერთხმად სცნობდნენ ფავლენიშვილის მიერ გამოგონილ „ფარსუნკას" ვარგისად. მიუხედავათ ყოველივე ამისა ამ ფარსუნკის საქმე [illegible] მიეცა, რკინის გზ. სამმართველოში ვინმე გულიაშვილს.

რაშია საქმე? ვინ აჩერებს საქმეს? ამას საჭიროა გზების პროფ-კავშირმა ყურადღება მიაქციოს.

მუშკორი კ. ბ.

სასურველია და საჭიროებაც მოითხოვს
(მუშკოოპის საყურადღებოდ).

ჩვენი სახელმწიფოებრივი ვაჭრობა და კოოპერატივები თანდათან აფართოვებენ თავის ოპერაციებს და იპყრობენ კერძო ბაზარს, მაგრამ არსებობს ვაჭრობის ერთი საგანი, რომლისთვისაც მათ ჯერ ყურადღება არ მიუქცევიათ და რომელსაც დიდი მოთხოვნილება აქვს ბაზარზე განსაკუთრებით მუშათა ბინის ხანაში. ეს არის რკინეულობით და წმინდა ტექნიკურ იარაღებით სავაჭროები. ასეთი სავაჭროები ჯერ კიდევ კერძო პირთა ხელშია. პუშკინის ქუჩის ერთ პუნქტში, ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებული არიან ასეთი სავაჭროები, რომლებიც ყოველთვის სავსეა მოვაჭრეებით. თავის ნებაზე ვაჭრობენ, იციან, რომ კონკურენტი არავინ ჰყავთ. როგორც მაგალითად ხშირად საჭიროა კარების სახელურები, საკეტები და სხვა, რომელიც ამ სავაჭროებში მოიპოვება მხოლოდ, აგრეთვე, ლურსმნები, თუნუქი და სხვა, რომლის მოთხოვნილებაც აგრეთვე დიდია. ეს ვაჭრები კი თავის ნებაზე აწესებენ ფასებს და აძვირებენ ვაჭრობას. აუცილებლად საჭიროა ამგვარი სავაჭროები გახსნას ჩვენმა მუშკოოპმაც.

ინფ. ტონკა.

მოგვაშორეთ პურის ასეთი მცხობლები
(„ზაკტპ"-ს საყურადღებოდ).

ქუთაისის რკ. გზ. კოოპერატივში თეთრი პური 7 კაპ. ღირს, კერძო ფურნეში კი 8 კაპ., როდესაც ეს უკანასკნელი ათ წილად სჯობია კოოპერატივის პურს. ალბად „ზაკტპ"-ს არ ჰყავს პურის გამომცხობელი „პეცები" და ტყუილად ფქვილს აფუჭებენ. პური ყოველთვის ცომია და უვარგისი.

საჭიროა ზომების მიღება პურის გასაუმჯობესებლად.

მუშკორი ეკალ-ვარდი.

წერილი პროვინციიდან

როგორ ავირჩიეთ დეპუტატები საბჭოში
ქ. გორი

ა. წ. 21 იანვარს დაიწყო ქ. გორის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელების საბჭოების არჩევნები.

არჩევნებისათვის გორი დანაწილებულ იქნა სამ უბნათ. ასარჩევი იყო 50 დეპუტატი. ცენტრში მცხოვრებ პროფკავშირის წევრების და ყველა პატიოსან მშრომელ მოქალაქეთა მიერ დეპუტატების არჩევა მოხდა გორის მუშათა კლუბის დარბაზში გაფართოებულ კრებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა მ. მესროპოვი და მდივნობდა ამხ. თ. კორსაველი.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1) საშინაო და საგარეო პოლიტიკა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და 2) გორის საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

პირველზე მოხსენება გააკეთა ამხ. ურუშაძემ. რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკების მიღწევანი; შეეხო ფულის რეფორმას და მის დღევანდელ სიმტკიცეს, მრეწველობას და ჩვენ პოლიტიკას ევროპის სახელმწიფოებთან. მოხსენება დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა დიდი ენტუზიაზმით და გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია. ამხ. ურუშაძის მოხსენების დროს საარჩევნო კრებამ პატივი სცა ფეხზე ადგომით გარდაცვალებულ ბელადის ვ. ლენინის ხსოვნას.

მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიწყო საბჭოს არჩევნები. წამოყენებულ იქნა თვით დამსწრე საზოგადოებიდან ერთი სია. რომელსაც ყველა საბჭოს ამომრჩეველი ეხებოდა შეგნებულად და გამოსთქვამდნენ თავიანთ აზრს ამა თუ იმ დეპუტატად ასარჩევ პირზე.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ სია იქნა მიღებული ერთხმად, სამი ამხანაგის გამოკლებით, რომლებმაც შეიკავეს თავი.

საბჭოს არჩევნები დამთავრდა ინტერნაციონალით საღამოს 9 ს.

შიბ.

საჭიროა ყურადღება
მაღრაპის თემი (თელავის მაზრა)

არგოხი, ბაბანეური და ფიჩხანი ძალიან ჩამორჩენილი არიან კულტურულათ. მცხოვრებლები მისდევენ ხვნა-თესვას. გლეხობა ძალიან გაჭირვებულია, ბევრი საკვები პურიც კი არ მოიპოვება, ასეთი მდგომარეობა აიძულებს სათ ხელში ჩაუვარდნენ მდიდარ გლეხებს, რომელნიც მათ თითო-ოროლა გროშით ხელს უმართავენ, მაგრამ სამაგიეროთ ტყავსაც აძრობენ დაუნდობლათ. გლეხობამ აქ არ არსებობს ბ[illegible], არ არსებობს აგრეთვე წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლებიც. სოფელი დიდ გაჭირვებას განიცდის უცოდინარობის გამოც. საჭიროა ცენტრის ყურადღება ასეთ ჩამორჩენილ და მოწყვეტილ სოფლებისადმი.

კ. თ.

ს. დარჩელის უბანი
ზუგდიდის მაზრა

ჩვენი სოფელი წარსულ წლებთან შედარებით თანდათან ღონიერდება.

მშრომელ გლეხობამ და ადგილობრივ ხელისუფლებამ საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან შეუდგა ძველი ტრადიციების მოსპობას. მოსპო ერთხელ და სამუდამოთ ქურდობა და ყაჩაღობა, რომელიც ქრონიკულ სნად იყო გადაქცეული.

განათლების საქმე მოწესრიგებულია. დარჩელის უბნის ყველა შემომავალ თემებში გვაქვს 7 წლედები და თემის შემომავალ სოფლებში პირველი დაწყებითი შრომის სკოლები. კოოპერატივის მუშაობა ძალიან სუსტია. ის სრულებით ვერ აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებებს, გლეხკაცობის ნაწარმოებს ფასი არა აქვს. კერძო ვაჭრები ტყავს აძრობენ გლეხობას.

ინგურელი.

საჭიროა ექიმი
საჯავახო (ოზურგეთის მაზრა)

ეს რაიონი აღმოსავლეთ გურიის ნაწილია. მისი მდებარეობა მთა-გორიანია, გლეხობის უმრავლესობა მისდევს ხვნა თესვას, მოყავთ სიმინდი, ღომი, ლობიო და ნაწილობრივ მისდევენ მევენახეობასაც.

მეტ ნაწილს ამ რაიონის მცხოვრებთა უხდება საყანეებში წასვლა სხვა მაზრის ფარგლებში შიდა რავერსის მანძილზე.

გლეხობა ძალიან ცუდ მდგომარეობას განიცდის უგზობის გამო.

მიუხედავად ამისა ამ რაიონის სამივე თემში სხვადასხვა კულტურულ ორგანიზაციებს: როგორც შკოლები დიდი სასწავლებლები, ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფო და სხვა. დაარსდა „ეპოკა", რომელსაც ეყოლება 5 განყოფილება, რაც ჩვენს გლეხობას თავის ნაწარმოებისა გასაღების საშუალებას მისცემს, საქმე სერზე აგებულია საავადმყოფოს მმართველი ექიმი შენობა სამწუხაროთ, ორიწლიანი რაცეს რაიონი მიტოვებულია უექიმოთ რაც მეტად ცუდ მდგომარეობაში აყენებს აქაურ გლეხობას. კარგი იქნება, რომ ჯანმრთელობის განყოფილება მიაქცევდეს ამ მდგომარეობას ყურადღებას.

ი. ხხვ—ძე.

საბინაო საკითხი ქ. ზესტაფონში

ამ ჟამად ზესტაფონში ბინის კრიზისია. ბინების სივიწროვეს იწვევს ერთი მხრივ რამოდენიმე მაზრის მაშტაბით მომუშავე ორგანოების აქ ყოფნა, სამაზრო აღმასკომი და მისი ორგანოები, გადატანილ იქნენ ჭიათურაში თანამშრომლები იქ გადავიდნენ, მაგრამ მათი ცოლშვილი აქვე დარჩენ ვინაიდან ჭიათურაში უფრო გამწვავებულია ბინის საკითხი. მდგომარეობას ამწვავებს ბინების შეუკეთებლობაც. ახლის აშენებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. შეუკეთებლობამ და ბინების უთადარიგოდ შენახვამ მოჰყვა შენობების თოვლის გამო დანგრევა, რამოდენიმესაც თანახმად ტექნიკური კომისიის შემოწმებისა კოლის დანგრევა. ყველა ზემო აღნიშნულ მდგომარეობას ადგილობრივი ხელისუფლება ადრე გრძნობდა, მაგრამ არ ქონდა საშუალება თავის დროზე ეს საქმე მოეგვარებინა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი წარმომადგენლის საშუალებით მიმართა ცენტრს, რათა აქ გახსნილიყო კომუნალური ბანკი, საიდანაც ბინის მეპატრონეები სათანადო პროცენტების გადახდით გაიტანდნენ სესხს და ამით შეეძლებოდათ ბინების საკითხის მოგვარებას. მივიღეთ კიდეც ცნობა რომ მაზრის მასშტაბით უნდა ყოფილიყო გახსნილი კომუნალური ბანკი ჭიათურაში, მაგრამ დღემდის ეს დაპირება სისრულეში არ არის მოყვანილი საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს.

ს. ცუცქირიძე.

ყურადღება მიაქციეთ
ქ. ოზურგეთი

ქ. ოზურგეთში პატარა ბაზრის მოედნის გვერდით გადის პატარა მდინარე ბაზრის წყალი. 1923 წელს ეს მდინარე გასკრა ახალმა გზამ, ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნით. მდინარე მოზრდილია და უბრალო წამოწვიმებაც საკმაოა ადიდდეს და ზედ კადებული ხიდი წაიღოს, დეკემბრის რიცხვებში, ერთი ასეთი ხიდიც წაიღო და მიმოსვლა შეწყვეტილია და მცხოვრებთ უხდებათ ძველი გზით სიარული, საჭიროა მდინარეზე აიგოს კარგი ხიდი და ამით საშუალება მიეცეს მცხოვრებთ ისარგებლონ ახალ გაყვანილი ქუჩით.

მახლობელი.

წერილი ახალქალაქიდან

ყურადღების ღირსია ახალქალაქის რაიაღმასკომის მოღვაწეობა. ის საქმიანობა რომელიც მან შეასრულა ამ ოთხი ხუთი თვის განმავლობაში აშკარათ ამტკიცებს გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესობას და აღმასკომის დაუშრეტელ ენერგიულ შემოქმედებას. ახალქალაქის რაიონში დღეს დღეობით არსებობს 16 სასწავლებელი. მოწაფეთა საერთო რიცხვი წელს 1300-დეა. თითქმის ყველა სკოლებს გაუკეთდა რემონტები. შეშა საკმაოთ აქვთ. სწავლა მიმდინარეობს ნორმალურად და საუკეთესოდ. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა რაიაღმასკომს, რაიკომს და მილიციის შენობებს. საავადმყოფოს თორმეტ ოთახს უკეთდება კაპიტალური რემონტი. რაიაღმასკომს განზრახული აქვს ნაციონალიზაცია ქმნილ სახლების შეკეთება. რაიონში არსებობს 30 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც მოწაფეთა რიცხვი 1000-მდე აღწევს. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში მოხუცი ხალხიც დადის და სიხარულით ეწაფებიან სწავლას. აქაც დიდი დახმარება მიუძღვის რაიაღმასკომს. ის რითაც კი შეუძლიან დახმარებას უწევს ამ სკოლებს.

უნდა აღინიშნოს ის ერთი დიდი საფრთხე რომელიც მოელის დ. ახალქალაქის მცხოვრებლებს. დ. ახალქალაქში ჩამოდის მდინარე თაძამი. ეს მდინარე ჩამოდის შიგ შუა სოფელში. მდინარის ორთავე ნაპირებზედ არის გაშენებული სახლები ულარიბეს გლეხებისა და მუშებისა. ეს მდინარე ზოგჯერ ისე პატარა არის რომ ხიდიც არ არის საჭირო, მაგრამ ზოგჯერ ისე მოვარდება გაგიჟებული, რომ მოედება და ანადგურებს მთელს დაბას. ვის არ ახსოვს ამ გიჟი მდინარის მოვარდნა 1924 წლის 24 ივნისს, როდესაც წაიღო რამდენიმე გლეხის ოჯახი და ავეჯი, რამდენი დაიღუპა გზა შარახედ და გააუბედურა. ამავე წელს 21 სექტემბერს მოვარდა და დახრჩო რამდენიმე წყლის თავიანი ფარით, ამასთან აგიჟებული თავის კალაპოტიდან გამოვარდა და რამდენიმე ბაღ-ვენახები წაიღო, წაღეკა და გაათხრა. ქალს როდესაც ვხედავთ დიდ ზიანს და დიდ თილს ამ მდინარის ტალღის მახლო ნაპირებზედ დიდი საფრთხე მოელის დაბა. ახალქალაქის მცხოვრებლებს მით, რომ ეს მდინარე ჩამოდის შუა სოფელში. მდინარის ნაპირები არის ფხვიერი ქვა-ქვიშა და არ ჩერდება. მდინარე კიდეებს ანგრევს და თან ჩამოაქვს ახლო მახლო გაშენებული სახლები. თუ რომ ეხლავე არ იქნება მის გასამაგრებლათ მიღებული ზომები, მდინარე მრავალ ოჯახებს აატირებს.

გ. სიამაშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **მეფუტკრეობა.** მოკლე ხანში თელავში დაარსდება მეფუტკრეობის მოკლე-ვადიანი კურსები, მიწად-მოქ. კომისარიატის ინსტრუქტორის ქიევან ყანჩაველის ხელმძღვანელობით.

— **ფილოქსერისაგან** ბორჩალოს მაზრაში გაფუჭებულია 600 დესეტინა ვენახი.

— **ხე-ტყის დამზადება.** გასული წლის განმავლობაში ბორჩალოს მაზრის ტყეებში დამზადდა 17,602 კუბ. საჟენი მერქანი.

— **არა აქვთ საქონლის საკვები.** როგორც ქიზიყიდან იტყობინებიან, იქ სრულებით არ მოიპოვება საქონლის საკვები. მოსალოდნელია საქონლის მასიური გაწყვეტა შიმშილით.

— **მილიცია სოფლად.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა დაავალა სამაზრო მილიციის უფროსს თითოეულ თემში დააგზავნოს თითო მილიციონერი.

— **სეტყვის საწინააღმდეგოთ.** სოფ. გურჯაანის და კარდანახის აღმასკომებმა დაიქირავეს კაცები სეტყვის დროს შუშხუნების სასროლათ.

ჩაის კულტურა საქართველოში
(ეკონომიურ საბჭოს მიერ დანიშნულ სპეციალურ კომისიის მოხსენებიდან)

ჰავის და ნიადაგის თვისებები შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების განსწვრივ—აჭარისტანის, საქართველოს და აფხაზეთის რესპუბლიკების საზღვრებში, მათი დაწვრილებითი შესწავლა და ჩაის კულტურის სხვა ქვეყნებში არსებულ ბუნებრივ პირობებთან შედარება სრულიად საკმარისად ნათელჰყოფენ საქართველოში ჩაის გაშენების და სასურველ პროდუქციის მიღების შესაძლებლობას და წარმატებას.

პირიქით, სიმრავლე სპეციფიურ თვისების ნიადაგისა, ე. წ. ლატერიტებისა ანუ ეწერ-მიწებისა, რომლების გამოყენება სხვა კულტურებისათვის მეტად ძნელია და საზარალო მაშინ, როდესაც ჩაის ბუჩქი მშვენივრად ხეირობს მათზე, ჩვენი სოფლის მეურნეობის პირობებში, სადაც მიწის სივრცის სივიწროვე მეტად მწვავეთაა საგრძნობი და რაც ძვირფას ინტენსიურ კულტურის განვითარების აუცილებლობას ჰქმნის,—ჩაის ბუჩქის გაშენებას აძლევს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა.

სივრცე, რომელზედაც უნდა გავრცელდეს მომავალში ჩაის კულტურა, განისაზღვრება ერთი მხრივ ბუნებრივი და მეორე მხრივ ეკონომიური პირობებით.

ბუნების მხრივ ჩაის გაშენებისათვის ვარგისი სივრცე 100.000 დესეტინას აღემატება.

ხოლო ეკონომიური ხასიათის პირობებით ასეთი სივრცე შეიძლება ფრიად შეიზღუდოს. მომავალ ჩაის კულტურის განვითარება შეძლებს მოგვცემს მოვახდინოთ გლეხის მეურნეობაში ერთგვარი გარდატეხა, ინტენსიური მეურნეობის შემოღებით. ამრიგათ ჩაის კულტურის სივრცეც გაფართოვდება საგრძნობლათ, ხოლო პირველ ხანებში შეიძლება დავეყრდნოთ მხოლოდ უვარგის, გამოუყენებელ მიწის ნაკვეთებს და საფონდო ეწერ-მიწებს; იმავე დროს პირველ წლებში ჩაის კულტურა არ უნდა დაუპირდაპირდეს გლეხის მეურნეობაში სხვა დარგებს.

ჩაის გაშენების საქმეს უნდა მიეცეს იოლი ხასიათი, მომგებიანი, გლეხის მეურნეობისათვის სრულად მისაღები კულტურისა.

ჩაის გაშენება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ წვრილ გლეხის მეურნეობას და, სადაც შეიძლებელი იქნება, კოლექტიურ მეურნეობას, სასოფლო მიწების გამოყენებით.

სახელმწიფო ორგანოების მიერ სამრეწველო პლანტაციების გაშენება მომავალში, გარდა პატარა საცდელ სამეცნიერო მიზნების ნაკვეთებისა, უარყოფილ უნდა იქნას.

პირველი ნაბიჯი, ჩაის გაშენების ორგანიზაციისა, იქნება: აღნიშნულ რაიონების დაწვრილებითი შესწავლა, განსაზღვრა სივრცის, მისი დაყოფა, სამუშაო ვარგისი მიწის სივრცის და ჩაის კულტურისათვის შესაძლო სივრცის თითეულ მეურნეობაში გამოკვლევა, მეურნეობის სამუშაო ძალის და მისი კრედიტისათვის საჭირო უნარის აღნუსხვა და აღწერა. ყველა ეს კითხვები წინასწარ დამუშავებულ პროგრამით და საანკეტო წესით უნდა მოხდეს შეძლების დაგვარათ ადგილობრივად მცხოვრებ აგრონომიულ განათლების და სტაჟის მქონე პირების მიერ.

მომავალში ეს პერსონალი იქნება ის ძალა, რომლის საშუალებით უნდა მოგვარდეს მთელი ჩაის გაშენების, ნიადაგის დამზადების, თესვის მოვლის და მოსავლის აკრეფის რიგიანად წარმოების საქმე.

ჩაის კულტურის გავრცელებისთვის საჭიროა კრედიტი. კრედიტის რაოდენობის გამონგარიშებისათვის საჭიროა ერთ დესეტინაზე ჩაის გასაშენებლად გასაღებ ხარჯების გათვალისწინება.

5 წლის განმავლობაში მეურნეს, თუ მის სამუშაო დღიურ ქირას ერთ მანეთად დავაფასებთ, დასჭირდება ერთი დესეტინა ჩაის გაშენებაზე (1 წელში—820, 2 წ.—60, 3 წ.—80, 4 წ.—200, 5 წ.—240). სულ 1.400 მან.

მოსავლის ჩაის ფოთლის 15 კაპ. შეფასებით მეურნეს დაუბრუნდება (მესამე წელში—50, 4—170, 5—380) სულ 600 მანეთი. აუნაზღაურებელი რჩება 800 მან. აქედან 400 რომ თვით მეურნემ ჩადოს საქმეში, 400 მანეთი მას 7 წლის კრედიტით უნდა მიეცეს; ეს კრედიტი მან მე 5, 6 და მე-7 წლებში თანდათანობით უნდა დაფაროს.

კრედიტი უნდა მიეცეს სასოფლო სამეურნეო კრედიტის დაწესებულებიდან ჩაის საქმის მმართველ ორგანოებთან შეთანხმებით და მათი მეთვალყურეობით. მოსავალი ჩაისა სრულიად უზრუნველყოფს კრედიტის თავის დროზე განაღდებას.

ჩაის გაშენებას როგორც კულტურის, ისე გადამუშავების საქმეში უნდა საფუძვლად ედოს მეცნიერული გასინჯვა და შესწავლა: ჯიშების გადარჩევა, თესლის გაუმჯობესება—სელექცია. გადამუშავების პროცესების შესწავლა და შესაფერად მოგვარება, ჰავის და ნიადაგის თვისებების რაიონებში დაწვრილებითი შესწავლა. ყველა ამ კითხვების გამოკვლევისთვის საჭიროა საცდელ-სამეცნიერო დარგის ჯეროვანად მოწყობა.

ცენტრალური საცდელი სადგური (აჭარისტანში) უნდა ეყრდნობოდეს ადგილობრივად მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ რამოდენიმე მეორეხარისხოვანი განყოფილებათ, საცდელ სადგურების გამოკვლევებს (მეტეოროლოგიური და საველე-საცდო დაწესებულებები, სანერგეები და ლაბორატორიებით ოზურგეთში, ზუგდიდში ან აფხაზეთში). სამეცნიერო დარგის მოვალეობა იქნება პირველ წელშივე მოაწყოს ჩაის ქვეყნებში სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის მიერ მოტანილი ცნობებით და ნიმუშებით მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების თანახმად უნდა მოეწყოს ჩაის კულტურა და წარმოება ჩვენში.

ჩაის პლანტაციების პროდუქცია—მოსავალი უნდა უზრუნველყოფილი იყოს შესაფერისად მოწყობილი ფაბრიკების საკმაო რიცხვით.

პლანტაციების რაოდენობის მიხედვით განზრახულია ორი ტიპის ფაბრიკები (ერთი დიდი 600 ათასი გირვანქა მშრალი ჩაის გადასამუშავებელი და მეორე პატარა—100 ათასი გირვ.) უნდა გაწილდეს და გაშენდეს რაიონებში, ჩაის პლანტაციების ზრდის მიხედვით.

შესაძლებელია ჩაის გავრცელება მოეწყოს ისეთ რაიონებში და იმ მასშტაბით, რომელიც არ მოითხოვს ფაბრიკის გაშენებას.

ფაბრიკებზე დაშორებული რაიონებში ჩაის დამუშავება მოხდება შინამრეწველობის წესით. მხოლოდ მომავალში საზოგადოებამ უნდა ეცადოს, რომ ასეთ წარმოებას რაც შეიძლება ნაკლებათ ქონდეს ადგილი და თუ ის აუცილებელი იქნება, მეურნეს მიეცეს შესაფერი ინვენტარი და რჩევა-დარიგება. მომავალი მუშაობა ჩაის გადამუშავებისა ადგილობრივად უნდა მიმართული იყოს ნახევრად ფაბრიკატის კოოპერატიულად გაერთიანებულ მეურნეობისათვის გადაცემისკენ. ხოლო წარმოების ინტერესი, თვით მეურნის მოუმზადებლობა და უმთავრესად ჩაის პროდუქციის ღირებულების შენახვა და გაუმჯობესება მოითხოვს პირველ ხანებში მთელი წარმოება ერთ საწარმოო წესრიგს ემორჩილებოდეს, ერთის სახელმწიფო ორგანიზაციის გამგებლობას ეკუთვნოდეს, რომელიც სააქციო პრინციპზე იქნება აგებული.

უმთავრესი წილი ამ საზოგადოებაში უნდა ქონდეს საქართველოს აჭარისტანის და აფხაზეთის მიწათმოქმედების კომისარიატებს.

სააქციო საზოგადოებაში საბჭოთა რესპუბლიკების ჩაით მოვაჭრე ორგანიზაციების (ცენტროსოიუზი, ჩაის სამმართველოს რუს. უმაღ. სამეურნეო საბჭოს მონაწილეობა და აგრეთვე ადგილობრივ კოოპერატიულ კავშირების და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისა, სასურველი და აუცილებელიც არის ჩაის პროდუქციის გასაღების მოსაგვარებლათ და ამისათვის საჭირო საბრუნავ თანხების შესაქმნელათ.

გეგმით განზრახული საორგანიზაციო და აგროკულტურული და საცდელი მუშაობისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად. აგრეთვე ფაბრიკების და შენობების ასაგებათ, ინვენტარის შესაძენათ საჭირო თანხების გაღება შესაძლებელი იქნება—როგორც განზრახულია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ, მხოლოდ სპეციალური წყაროს გამონახვით, სახელდობრ ჩაის გაყიდვაზე მთელი კავშირის მასშტაბით პროცენტული ზედმეტ ღირებულების შემოღებით და ამ თანხების დაუბრუნებლივ ჩაის გაშენების საქმეში მოთავსებით.

ყოველწლიურ ხარჯების დასაფარავად საჭირო თანხა თანახმად ანგარიშ-ანგარიშისა უდრის სულ, 394.000 მან.

მომავალი პლანტაციების (100 დესეტ. უკვე არსებული და 5000 დესეტინ ახლად გაშენებული) წარმოების ბრუნვა 4 მილიონის გირვანქის ანგარიშით აღნიშნულ ხარჯების დასაფარავად მოითხოვს სრულიად მისაღებ თვითღირებულებაზე ზედნართებით ფასს—10 კაპეიკს გირვანქაზე.

ნედლი ფოთოლის 15 კაპ. დაფასებით, ხმელი ფოთოლი ეღირება 63,75 კაპ. გადამუშავების ღირებულება 16 კაპ. სულ 80 კაპ.—10 კაპ. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით 90 კაპ. მოსაგები პროცენტის, ტრანსპორტის და ყველა სხვა ხარჯების დამატებით კი—ჩაის ღირებულება არ აღემატება 1 მანეთს.

სააქციო საზოგადოების წესდების დამტკიცების და წარმოდგენილ გეგმის მოწონებისთანავე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შექმნა დროებით მმართველ ორგანოსი (საორგანიზაციო კომისიის ან დროებით გამგეობის), რომლის მოვალეობა იქნება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ორგანოებში გეგმის და წესდების დასამტკიცებლად წარდგენასთან ერთად შეუდგეს საჭირო სახსრების გამოძებნას და საორგანიზაციო მუშაობას მიწათმოქმედების კომისარიატების აგან ფაბრიკების, ინვენტარის, შენობების და პლანტაციების ჩაბარებას და რაიონებში აგრო-ტექნიკურ პერსონალის შერჩევას და წინასწარ-გამომუშავებულ პროგრამით რაიონის მეურნეობის დაწვრილებითი გაცნობას.

ცნობა. ეს გეგმა განხილულია საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ და გადაცემულია ეკონომიურ საბჭოში.

წარსული წლის 5 დეკემბერს საბჭოთა რესპუბლიკების შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა: შეიქმნას ჩაის სააქციო საზოგადოება და მიეცეს მას ყოველწლიურად საჭირო დახმარება სუბსიდიის სახით.

ახლო მომავალში მოხდება შეთანხმება სააქციო საზოგადოების მონაწილეთა შორის; წესდება და გეგმა საქართველოს ეკონომიური საბჭოში დამტკიცების შემდეგ წარედგინება დასაკანონებლად საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებს. საზოგადოების ორგანიზაცია და მისი ამუშავება განზრახულია იმ წესით, რომ 1925 წელში შემოდგომიდან, გეგმის მიერ განზრახული 500 დესეტინა ჩაი გაშენდეს.

საბჭოთა სასამართლო

კავკასიის სამთო-მადნო ამხანაგობის („კარუტო“-ს) გამძარცველთა გასამართლება რევტრიბუნალში

(მეორე დღე).

27 დეკემბერს საქ. რევოლიუციონური ტრიბუნალი შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული **იმნაძე**, რომელიც მოუთხრობს ტრიბუნალს, როგორ მოხდა გაძარცვა. ის აცხადებს, რომ ამ ბოროტმოქმედების მომზადებაში მას არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ შემდეგში, როცა „საქმე გააწყვეს“ ქარუმიძემ და მიხ. ვანიძემ (ესენი ეხლა ცოცხლები აღარ არიან), ისიც ჩაითრიეს საქმეში; წაიყვანეს, გააჩერეს „კარუტო“-ს კარებთან, მისცეს ხელში რევოლვერი და უთხრეს: „რაც გიბრძანოთ, ის გააკეთე, თორემ მოგკლავთო“. ტრიბუნალის ერთ-ერთი წევრი ეკითხება ბრალდებულს: თუ შენ ამ საქმის არაფერი იცოდი, როგორ მოხდა, რომ ნაძარცვი ფული შენს ბინაზე წამოიღეს აღნიშნულმა პირებმაო. ამაზე ბრალდებული აბნეულ პასუხს იძლევა. შეკითხვაზე, თუ რატომ ათევდა ღამეს მიხ. ვანიძე ბრალდებულის ბინაზე, უკანასკნელი უპასუხებს, რომ ის იყო მასთან დაახლოვებული, ამასთან ერთად ის მას პირდებოდა სამსახურის შოვნას. იმნაძე ამბობს: გაძარცვის წინა ღლით ჩემთან იყვნენ მიხ. ვანიძე და ხრაპკიხი, ვანიძემ ღამეც ჩემთან გაათია, მაგრამ ძარცვაზე ლაპარაკი არ ყოფილა. მეორე დღეს მე ავჭალაში უნდა წავსულიყავი სამუშაოდ, მაგრამ ვანიძემ არ გამიშვა და მითხრა, ჩემთან წამოდი და გაკეთდებიო.

ბრალდებული თავართქილაძე აცხადებს, რომ მას არ მიუღია მონაწილეობა გაძარცვაში. მისი სიტყვით, ვანიძეს, თითქოს, ემართა მისი ფული. ერთს დღეს ის შეხვდა ვანიძეს, რომელსაც მოსთხოვა თავისი ფულის დაბრუნება. ვანიძემ ის თითქოს წაიყვანა ერთ ადგილას, გააჩერა და უთხრა—დამიცადე აქ ფულს მოგიტანო. ბრალდებული აცხადებს, რომ მე არ დავუცადე წამოვედი და გზაში დამეწიენ იმნაძე და ქარუმიძე, ძალზე აღელვებულნი, და წამიყვანეს იმნაძის ბინაზეო. ამ რიგად მე დავრჩი საქმეში ჩათრეულიო. ბრალდებულს აძლევენ შეკითხვას: რატომ იყო ეს უბრალოდ გზაში შეხვედრა მასი ჩათრევა ამ ბოროტმოქმედებაში, ან რატომ უთხრა მას ვანიძემ შენ ვერ შეასრულე შენი მოვალეობაო? (ეს ჩვენებაშია ნათქვამი). ამაზე ბრალდებული პირდაპირ პასუხს ვერ იძლევა. შემდეგ ირკვევა, რომ ფულის გაყოფის დროს მას მოუთხოვია თანაბარი წილი. შემდეგ დაკითხულ იქნენ ბრალდებულები: **ჯინჭარაძე**, **გურგენიძე** (ხელობით მექუდე, რომელსაც დაპატიმრების დროს აღმოაჩნდა ყალბი პირადობის მოწმობა), **პერაძე** და **ვას. ვანიძე**. აღნიშნული ბრალდებულები არ სცნობენ თავს დამნაშავეთ თავდასხმის მოწყობაში. ტრიბუნალის სხდომა შეწყდა საღამოს 5 ნახ. საათზე.

ბიბლიოგრაფია

გლიომები-მორფოლოგიური გამოკვლევა, ვლადიმერ ჟღენტი

თბილისის უნივერსიტეტის პათოლოგიურ ანატომიურ ინსტიტუტის გამგე. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. თბილისი 1924 წ. 362+32 ტაბულა

ეს წიგნი ახლოლოდ ამ დღეებში გამოვიდა, თუმცა მას 24 წლის დატა აზის. იგი უნივერსიტეტის გამოცემაა და ეკუთვნის იმ წიგნთა რიცხვს, რომლის გამოცემა მხოლოდ უნივერსიტეტს შეუძლია, ე. ი. იგი წმინდა მეცნიერული მონოგრაფიული გამოკვლევაა. სხვა, უნივერსიტეტის გარეშე გამომცემლობა, ცხადია და ბუნებრივი, ასეთ წიგნს ვერც გამოსცემს და არც გაიყიდება. ასეთი გამოკვლევა არ შეიცავს ფართო ინტერესს, მას მხოლოდ რამოდენიმე სპეციალისტი კითხულობს. საქართველოს სინამდვილეში ამ სპეციალისტთა რიცხვი შეიძლება თითებზე ჩამოსათვლელი იყოს. წიგნი დაწერილია როგორც სამეცნიერო დისერტაცია და მისი მეცნიერული ღირებულებისა და მიღწევათა შესახებ სპეციალისტები იყვიან თავის აზრს. აქ კი, ჩვენ შეიძლება მივაქციოთ მკითხველის ყურადღება საერთო მეცნიერულ მიდგომას საკითხისადმი, რაც ერთნაირად სავალდებულოა ყველა მეცნიერებისათვის, აგრეთვე იმ საზოგადოებრივ-კულტურულ მნიშვნელობას, რომელიც ყოველ ასეთ ცდას ქართულ სამეცნიერო გამოკვლევას ახასიათებს.

გლიომები „ტვინის ქსოვილის სპეციფიური სიმსივეა“. ავტორი აწყობს მათი მორფოლოგიურ კვლევა-ძიებას საკუთარ შემთხვევების აღწერაზეც. ამდენად წიგნი დამოუკიდებელ გამოკვლევას წარმოადგენს. იგი სამი ნაწილისაგან შესდგება: პირველი ნაწილი ეხება ნევროლოგიის, ჰისტოლოგიის და ჰისტოპათოლოგიის მოძღვრებათა მდგომარეობას თანამედროვე მეცნიერებაში, თუ მხედველობაში მივიღებთ წიგნზე ქართულ ვრცელ ლიტერატურას (331—356 გვერდამდე), უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორს დიდი ნაკითხობა უნდა ახასიათებდეს თავისი საკითხების სფეროში, თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ავტორის მიერ ნაჩვენები ლიტერატურა უკანასკნელ ათეულ წლების აქეთ არ მოდის. უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიერ აღნიშნული სამი დარგი ამ ათი წლის განმავლობაში ერთ ადგილზე არ იდგა.

მეორე ნაწილი ეხება სპეციალურად გლიომების თვისებებს, (37—225), ხოლო მესამე (225—356) საკუთარ შემთხვევების აღწერას, შემდეგ რამოდენიმე გვერდი (356—362) მიკუთვნებული აქვს ოცდათორმეტი ტაბულის ახსნას. სურათების საერთო რიცხვი უდრის ორმოცდა თოთხმეტს.

წიგნი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. თუ ვინმე მოისურვებს გაიხსენოს, რას წარმოადგენდა ქართული სამეცნიერო მწერლობა სულ რამოდენიმე წლის წინად და შეადარებს დღევანდელ მდგომარეობას, როდესაც სპეციალური სამეცნიერო გამოკვლევა ოთხასამდე გვერდი დასურათებული და ყოველგვარ ტეხნიკურ მიღწევებით გამოდის ქართულ ენაზე, არ შეიძლება არ დარწმუნდეს, რომ უმაღლესი სკოლა და მეცნიერება ჩვენში საბოლოოდ დამკვიდრებულად უნდა ჩაითვალოს.

წიგნის ენა აუტანელად მძიმეა. იგი პირდაპირ ქართული სიტყვებით გამოთქმული რუსულია. სარედაქციო მხარეს დაუდევრობა ეტყობა; მაგალითად სარჩევში სწერია: გლიომების ეტიოლოგია, ხოლო თვით ტექსტში ეთიოლოგია (გვ. 193). სამეცნიერო შრომას ასეთი დეფექტები არ ეპატიება.

შ. ნ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— ხუთშაბათს, 29 იანვარს, კომკავშირის ცეკას შენობაში (რუსთაველის № 12) ჟურნ. „საზღვარზე“-ს რედაქციაში, საღამოს 4 ს. პროლეტმწერლების თათბირი მუშათა კლუბებთან არსებულ ლიტწრეების შესახებ.

თათბირზე პროლემაფის წევრების გარდა მოწვეულია მუშა მწერლები შ. ნადირაძე, ახალკაცი, ხეჩუაშვილი, ბაჯიაშვილი, ს. ხიდისთაველი (ან რომელიმე წარმომადგენელი მტვირთავ მუშათა ლიტწრის), წარმომადგენელი ტრამვაის მუშათა მუშკორულ ლიტწრის (წრის ხელმძღვანელი), რკინის გზის მუშათა კლუბის ლიტწრის წარმომადგენელი, თბილისის მუშკორთა ბიუროს ორი წევრი და საერთოდ ყველა კომკავშირის კომპარტიის, ჯარის და საწარმოვო კლუბების ქართულ ლიტწრეების წარმომადგენლებს.

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. ნაჭყებიას და ნერსეს ვართანოვს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. მდინარაძესთან.

— მესამე რაიკომი იწვევს: ოთხშაბათს, 28 იანვარს, საღამოს 6 საათ, პარტკლუბის შენობაში შესდგება მუშკორების წრის მეცადინეობა.

დასწრება სავალდებულოა ყველა მუშკორებისთვის, პარტკორებისთვის და ახალგაზ. კორესპონდენტებისთვის.

— არსრაიკომი იწვევს: ოთხშაბათს, 28 იანვარს, საღამოს 5 საათზე, წითელ თეატრის შენობაში შესდგება არსრაიონის წევრებისა და კანდიდატების კრება.

დღის წესრიგი: 1) საბჭოთა უჯრედების გადასინჯვის შესახებ, 2) რაიკომის სარევიზიო კომისიის არჩევნები, 3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

მდივნის მაგიერ მელაძე.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ატატო სოკრატის ასული, და თალიკო აქსენტის ასული, ძმები: ნიკოლოზ და სეფე, რძლები: ლიუბა და ანასტასია დევდარიანები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

ა ნ ი კ ო ს

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, ჩერქეზიშვილის ქ. № 28. გამოსვენება და დაკრძალვა 29 იანვარს ვერის (ნიკოლოზის სასაფლაოზე) ნაშუადღევს 3 საათზე.

178. 1—1

გულდათუთქულნი ქვრივი ფუცუნია (ფოტინე) მექიას ასული ბაქრაძისა შვილებით, მამა ტარასი ბაქრაძე, სიმამრი მექია და სიდედრი ცაცუნა ელენტები, ძმები: ვიქტორ და ალუა, დები, ნადია, კატია და ლოლია ბაქრაძეები, ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს 31 იანვარს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

ლევან ტარასისძე ბაქრაძის

სოფ. კვალითში დღის 12 საათზე. 174. 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი თამარი ნიკოლოზის ასული და სავალერიანის ძე ორჯონიკიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა.-წ. 26 იანვარს საღამოს 6 საათზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დედა და მეორის სიდედრი

ანნა (ანიკო) აქსენტის ასული კიკნაძისა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, ჩერქეზიშვილის ქ. № 28. ცხედრის გამოსვენება მოხდება 29 იანვარს ხუთშაბათს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნიკოლოზ პავლეს ძე შვილებით: გრიშა, ირაკლი, თამარა, პავლე, შალვა, რძალი ელენა კიკნაძეები, ძმისწული საბატი ორჯონიკიძე—ალექსანდრე აბაშიძე, ნინა და ვასო მაქარაშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ა.-წ. 26 იანვარს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ანნა (ანიკო) აქსენტის ასული კიკნაძისა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, ჩერქეზიშვილის ქ. № 28. ცხედრის გამოსვენება მოხდება 29 იანვარს, ხუთშაბათს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა ვერის (წმ. ნიკოლოზის) სასაფლაოზე. 1—1

ხუთშაბათს, 29 იანვარს — საზეიმო დრამა — ხუთშაბათს, 29 იანვარს

ა. ვერულის. შპიგელმენშ

კორპორაცია „დურუჯი“-ს წლის თავის აღსანიშნავად

წაკითხული იქნება კორპორაცია „დურუჯი“-ს დეკლარაცია.

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა.

ნ. 697 1—1 რეჟისორი კ. პატარიძე.

სახელმწიფო ოპერა

ხვალ, 29 იანვარს პიკის ქალი

პარასკევს, 30 იანვარს

ფაუსტი და ვალპურგიის ღამე.

ნის. 723. 4—2

სახელმწიფო დრამა

ხვალ, 29 იანვარს

შპიგელმენშ

შაბათს, 31 იანვარს

მ ა ლ შ ტ რ ე მ

702 5—2

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დარსულვალი

მიხეილ ქედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—21

მსახიობთა ქართული დრამა ამხანაგობა

1924—25 წ. სეზონი

სახელმწ. ოპერის თეატრი ოთხშაბათს, 28 იანვარს

წარმოდგენილი იქნება

უილ. შექსპირის

ო ტ ე ლ ო

დრამა 5 მოქმედებათ

თარგმანი ი. მაჩაბლისა

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველდღე.

დადგმა ა. ფოცხვერაშვილისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ნის. 2—2 701

თბილისის საბაჟო

აცხადებს, რომ 29 იანვარს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

კონტრაბანდულ საქონლისა: შევიოტი, ტყავეულობა, აბრეშუმისა და ბამბის ჩულქები, საგალანტერიო საქონელი, პარფიუმერია, საკანცელარიო საგნები და სხვა საქონელი.

ნ. № 696 2—2 საბაჟოს გამგე—დ. ბურჯანაძე

შრომის ინვალიდთა

ს ა ს ა დ ი ლ ო

რუსთაველის და კრუზენშტერნის ქ. კუთხე

ოჯახური სადილი 2 კერძი—45 კაპ. (2—5 საათამდე.
შრომის ინვალიდთათვის—30 კაპ. (

მთელი დღე უკრავს მუსიკა. ღვინო ყველა ფირმების ფასი 60 კ.—1 მ. ბოთლი. ვღებულობთ ყოველგვარ შეკვეთებს როგორც სადილს, ისე ვახშმისას დაკლებულ ფასებში.

ნ. № 563—8—8

ფოტოგრაფი მეგემიძე

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს

აგრეთვე ადიდებს სურათებს ხელმისაწვდომ ფასებში

პლეხანოვის პრ. № 80 ნ. 398 5—5.

გამოცდილი

გერმანელი ქალი

ამზადებს

3—6 წლამდის ბავშვებს გერმანულ ენაზე საბავშვო სახლებისათვის და აძლევს ამავე ენაზე გაკვეთილებს მოზრდილებსაც.

მისამართი ნიკოლოზის ქ. № 73

22 3—3 ბინა ცინცაძისა.

ვაცხადებ,

რომ სახელმძღვანელო „შრომის ქვეყანა“-ს ერთი ავტორთაგანი

ბენ. ჩიქობავა

მე არა ვარ, არამედ ბენედიქტე ექვთიმეს ძე ჩიქობავა; რის გამოც ვთხოვ ყველა დაინტერესებულ პირებს მოქ ზომლეთელის პრესაში გამოსვლის გამო, აგრეთვე ამ წიგნთან დაკავშირებული სხვა შეკითხვებით მე ნუ მომმართავენ.

სახელმწ. უნივერსიტ. დატოვებული ბენედიქტე ხელფანის ძე ჩიქობავა.

№ 177. 1—1

საჭიროა

სიღნაღის მუსიკალურ სასწავლებლისათვის მასწავლებელი

სიმღერისა და სკრიპკის:

სავალდებულოა თეორიის ცოდნა გასამრჯელო ჯილდო თვეში 85 მან. ცნობებისათვის მიმართეთ—ა. ფალავას. თბილისის სახ. კონსერვატორიაში. № 708. 1—1

მხოლოდ ორი დღით 31 იანვრამდე

ვისაც სურს კარგ'თ და იაფათ შეიმოსოს

დაჩქარებით მიმართეთ

„ბრუზმშევიკრომ“-ის მაღაზიებს:

1. რუსთაველის პროსპ. № 11. ტელ. 11—33.
2. მადათოვის კუნძული ტელ. 17—96.

სეზონის გათავებს შემდეგ დანიშნულია დამზადებული ტანისამოსის გაყიდვა შეღავათიან ფასებში; შეღავათი 5—40 პროცენტამდი.

არის მრავალი სხვადასხვაგვარი წყალგაუვალი წამოსასხამები.

მხოლოდ ორი დღით 31 იანვრამდე

ნ. 710 მხოლოდ ორი დღით 31 იანვრამდე 1—1

მიიღება ხელის მოწერა 1925 წლისათვის მოსკოვის პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს საგამომცემლო განყოფილების „ტრუდ-კნიგა“-ს ჟურნალებზე:

1) „ლურჯი ხალათი“	2) „რადიოს მოყვარული“
მ. პ. კ. ს. საბჭოს კულტგანყოფილების ცოცხალი უნივერსალური გაზეთი. პირობები: 3 თვით—2 მან. 60 კაპ. 6 თვით—5 მან. — 1 წლით—9 მან. 80 კაპ.	რადიო-საქმის ორკვირეული პოპულიარული ჟურნალი. 3 თვით—1 მან. 70 კაპ. 6 თვით—3 მან. 30 კაპ. 1 წლით—6 მან. 50 კაპ.
3) „კულტურული ფრონტი“	4) „მუშა-მკითხველი“
პროფკავშირების კულტურული მუშაობის ყოველთვიური ჟურნალი. 3 თვით—1 მან. 50 კაპ. 6 თვით—3 მან. — 1 წლით—6 მან. —	ორკვირეული კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი. 3 თვით—1 მან. 15 კაპ. 6 თვით—2 მან. 20 კაპ.
5) „მუშა-მაყურებელი“	6) „მოსკოველი პროლეტარი“
მ. პ. კ. ს. საბჭოს ყოველკვირეული თეატრალურ-მხატვრული ჟურნალი. 3 თვით—1 მან. 90 კაპ. 6 თვით—3 მან. 65 კაპ. 1 წლით—7 მან. 30 კაპ.	მ. პ. კ. ს. ს. ყოველკვირეული ჟურნალი. 3 თვით—1 მან 20 კაპ. 6 თვით—2 მან. 40 კაპ. 1 წლით—4 მან. 80 კაპ.

უზრუნველყოფილია ჟურნალების ჩქარი და დაუბრკოლებელი მიწოდება.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ხელისმოწერის და განცხადებების სახელმწიფო კანტორაში „დვიგატელ“—რუსთაველის პრ. № 10, ტელ. 13—45, მ. პ. კ. ს. ს. გამომცემლობათა რწმუნებულთან ამიერ-კავკასიაში.

სამხედრო ხელისმომწერლებმა უნდა მიმართონ „კვიზა“-ს კანტორას, პლეხანოვის ქ. № 149. წვრილათ გაყიდვა ცაკის უწყებების კანტორაში—რუსთაველი № 10.

—კოლექტიურ ხელისმომწერლებს შეღავათი—

1—1 709 გამომცემლობის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ლემბერგი.

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტარაკანოვის-მარტოშკინისა

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორიული მიღება შინაგან და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13

ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4.

ნის 372 —100—37

ე ქ ი მ ი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 11

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)

25—13

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ“-ის პირდაპირ. № 3203. 25—23

ე ქ ი მ ი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—8

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მოსე

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან. ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. სარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—18

ე ქ ი მ ი

პ. გ. მეჰრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—8

ე ქ ი მ ი

ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა ელექტრონით წამლობა

მიიღება საღ. 7—8 საათ.

ლენინის (ოლღას ქ. № 49)

ტელეფ. 4—85 25—11

დაკარგა მეტრიკული მოწმობა № 661 არჩილ ჯიღაურიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 169 1—1

დაკარგა აღრიცხვის წიგნაკი ქ. ზესტაფონის რაიონის სამხედრო განყოფილებიდან მოცემული № 1, იასონ თადეოზის ძე გეწაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

170 1—1

დაკარგა პირადობის წიგნაკი მეტეხის უბნის კომისარიატის სამხედრო განყოფილებისაგან მოცემული მიხეილ ნიკოლოზის ძე უგრეხელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

171 1—1

დაკარგა მოწმობა მოცემული თბილისის მ. მილიციის მიერ ივანე პეტრეს ძე საიანიშვილის (საიანოვის) სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

173 1—1

დაკარგა განთლების მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 5476 და პირადობის მოწმობა გრიგოლ ჯანელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

172 1—1

28 იანვარი ოთხშაბათი

აპოლო გახსნება ახალი კინო-თეატრ აპოლო

(კონსერვატორის დიდი დარბაზი)

საქ. სოც. უზრუნველყოფის კომის. სურათი

„ქარიშხალის წინ“

კინო მოთხრობა 8 ნაწ.

დადგმა: კოტე მარჯანიშვილის

სცენარი შალვა დადიანის

ოპერატორი შტეგელმანი

მუსიკა შედგენილია კომპოზიტორ დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით.

სიმფონიური ორკესტრი 22 კაცისაგან.

კასა ღიაა 4 საათიდან.

დასაწყისი 5 საათზე.

28 იანვარი ოთხშაბათი

ნის. 708. 2—2